

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება –
საარქივო სამმართველო**

***Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara
Autonomous Republic – Archives Administration***

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი
ARCHAEION
XXV

თბილისი 2023 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი, მერაბ კეზევაძე, ჯემალ კარალიძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე, მერაბ მეგრელიშვილი

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze – editor

Editorial Board:

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Jemal Karalidze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze, Merab Megrelishvili

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 0422 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

რევაზ უზუნაძე მერაბ უზუნაძე

მდინარე ჭოროხზე ბარკასით ნაოსნობის ისტორიისათვის

მდ. ჭოროხზე ნაოსნობა იღებს სათავეს შორეული წარსულიდან. იგი მუდამ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჭოროხის სანაოსნო გზით შავშეთ-იმერხევის(ისტორიული კლარჯეთი), ნიგალის (ართვინი) მხარეები უკავშირდებოდნენ ზღვისპირეთს (თ. ბერაძე, 1981:128-129; რ. უზუნაძე, 2001:227). ნაოსნობაში გამოიყენებოდა მდინარის ჰიდროგრაფიულ პირობებს შეხამებული ნავი. იგი ცნობილია „ჭოროხული ნავის“ სახელწოდებით (ალ. დავითაძე, 1983:63). ნავებით ართვინიდან (ძვ. ნიგალი), ბორჩხადან (ძვ. ფორჩხა) და სხვა მდინარისპირა პუნქტებიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ტვირთები, გადმოჰყავდათ მგზავრები და პირიქით (თ. ბერაძე, 1981:131; ზ. კუტალიშვილი, 1987:81).

XIX ს-ის 80-90 იან წლებიდან ჭოროხზე ნაოსნობა ხდება მეტად ინტენსიური. რასაც შეუწყო ხელი, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის გავლენით, ზღვაოსნობის განვითარებამ და ბათუმის გადაქცევამ მსხვილ სანავსადგურო-სამრეწველო ცენტრად. იზრდება სწრაფვა ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისა ბათუმსა და ოლქის შიდა რეგიონებს შორის. ხმელეთით უგზოობის გამო¹ ძირითად სატრანსპორტო საშუალებად რჩებოდა ჭოროხული ნავი (რ. უზუნაძე, 1991:83-84). XIX ს-ის 80-იანი წლების მონაცემებით მდ. ჭოროხის სანაოსნო არტერიას ემსახურებოდა 300-მდე ნავი (Левашов С.Н. 1880.223; ჟან მურიე, 1962:16). ართვინ-არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის რაიონებიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, შიდა მრეწველობის ნაწარმი და სხვა (რ. უზუნაძე, 2008:221).

XIX ს-ის 90-იანი წლებიდან ჭოროხზე გამოჩნდნენ ბარკასები. მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში აღნიშნული სანაოსნო საშუალების გამოყენება არ ყოფილა დღემდე კვლევის საგანი. შესწავლა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ.- 2010 წელს სოფ. მარადიდთან ახლოს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი იქნა ჭოროხში ჩაძირული რკინის ნავი² (დან. # 1,2). როგორც გვიჩვენა საკითხის შესწავლამ ჭოროხში ნაპოვნი რკინის ნავი არის „ბარკასი“. სტატია ეძღვნება აღმოჩენილ არტეფაქტის შესწავლას, ბარკასის ჩართულობას მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში.

პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ ნაპოვნ ბარკას აქვს ჭოროხული ნავის კონსტრუქცია (დანართი. 2, 3). ნავის სიგრძე შეადგენს - 8 მ., სიგანე (შუა ნაწილში) – 2,5 მ., ნავის გვერდების სიმაღლე - 0,75 მ., კიჩოსთან სიმაღლე - 0,86 მ. ნაპოვნი ბარკასი, ჭოროხული ნავის მსგავსად, შედგება ხუთი ნაწილისაგან: ნავის თავი (კიჩო), ნავის ბოლო (კაბულდა), შუა ნაწილი (საჭვირთე/სატვირთო), გვერდებისა და ბრტყელი ძირისაგან (დან. 3,4).

ნავის თავი, ბოლო და სატვირთო ნაწილი ერთმანეთისაგან გამოყოფილია რკინის ტიხარებით (დან.2, 3). საჭვირთე ნაწილის სიგრძე უდრის 4,2 მ., კიჩოს ორმოს (ასე ეძახდნენ მონაკვეთში არსებულ სივრცეს) სიგრძე შეადგენს - 1,9 მ. (უფროს მენავეს, საჯდომი; დან. 3,4). ნავის ბოლო (კაბულდა) – 1,7 მ., (აქ თავსდებოდნენ რიგითი მენავეები). ბოლო ნაწილი ნაწილობრივ მოღუნულია.

ნავს გარედან, ორივე მხარეს, მთელი სიგრძეზე შემოვლებული აქვს 0,17 მ. სისქის ხის წყვილი სალტე. ისინი ჩაჭდილია კუთხოვანას ბუდეებში (დან. 1, 2). ნავს ზემოდან აქვს შემოვლებული რკინის კუთხოვანა, რომელზედაც მაგრდებოდა ხის სალტე (და. 2, 4) გარედან, ნავს „ნავის ბოლოში“ -ში ჩამაგრებული ჰქონდა ხის მსხვილი ორი კოჭი (დან. 8). ასევე, ხის კოჭი ჩამაგრებულია კიჩოზე (დან. 5). საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ გადაეხურათ ნავის სატვირთო ნაწილი.

ჭოროხში ნაპოვნი ბარკასი მთლიანობაში წარმოადგენს რკინის კონსტრუქციას. დაახლოებით 0.5 მმ სისქის ლითონის ფურცლები შეჭედილი ერთმანეთზე მოქლონებით. ლითონის ფურცლების მჭიდროდ შესაკავშირებლად შეჭედვის მონაკვეთში გამოყენებულია რკინის მოღუნული კუთხოვანები (ეღე). ერთ ნავს ჭირდებოდა 6 მოღუნული კუთხოვანა (დან. 3, 4) ლითონის ფურცლები, შეერთების ადგილებში (კუთხოვნებზე) შეჭედილი იყო მოქლონებით. ნავს კიჩოზე ჰქონდა დამაგრებული ლუზა (დან. 5, 10)⁵.

ბარკასის ეკიპაჟი შედგებოდა 4 კაცისაგან: ნავის წინამძღოლი, უფროსი მენიჩბე და ორი რიგითი მენიჩბე. ჭოროხული ნავის მსგავსად ბარკასი იმართებოდა ნიჩბებით, სისისტარით, სათავებელათი და საბელით (მსხვილი თოკი). ნიჩბები და სისტარი გამოიყენებოდა დინების მიმართულებით ნავის სამართავად. ხოლო სათავებელათი და საბელით ხდებოდა ნავის გადაადგილება მდინარის დინების საპირისპიროდ.

თავისი კონსტრუქციით და სხვა მახასიათებლებით საკვლევ ობიექტს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ჭოროხული ბარკასი“. მისი ტვირთამწეობა უდრიდა საშუალოდ 2,5-3 ტონას (Шавров Н., 1907:20). ეკიპაჟი იყო დაკომპლექტებული ნიგალის ხეობის მენავეებით.

„ბარკასის“ გამოჩენა ჭოროხულ ნაოსნობაში განაპირობა ბათუმის ოლქში სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარებამ. ართვინის მხარეში (ართვინის ოკრუგი) აღმოჩნდა სპილენძის 45 საბადო. XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო სპილენძის წარმოება (მ. სიორიძე, 2008:113-114). ამოქმედდა სამთო საწარმოები და სპილენძსადნობი ქარხნები. მოპოვებული მადანი ერგეს ქარხანამდე⁶, ხოლო გამოდნობილი სპილენძი ბათუმის პორტამდე ჩამოჰქონდათ ნავებით (რ. უზუნაძე, 2001:232; მ. სიორიძე, 2008:114). 1901 წლის მონაცემებით ართვინიდან სოფ. ერგეს სპილენძსადნობ ქარხანამდე და ბათუმის პორტამდე ნავებით გადმოიზიდა დაახ. 506 ათასი ფუთი სპილენძის ნახევრად გადამუშავებული მადანი და გამოდნობილი სპილენძი, 247 300 ფუთი მარგანეცი (Кавказский календар, 1903:61).

თავდაპირველად მადანისა და გამოდნობილი სპილენძის ტრანსპორტირება ხდებოდა ჭოროხული ხის ნავებით. ემსახურებოდა მრავალი ნავი. მალე გამოჩნდა, რომ იგი აღმოჩნდა მოუხერხებელი მადანის ტრანსპორტირებისათვის. ხის ნავები მალე გამოდიოდა მწყობრიდან. ამიტომაც დაიწყო აღნიშნული ტვირთების გადმოსაზიდად ჭოროხული ნავის იდენტური ბარკასის ტიპის ნავების დამზადება. იგი მზადდებოდა ბათუმში მოქმედ ტუტოლლის გემთსაშენ სახელოსნოში. ღირდა 200 რუბლი (აჭარის ცსა, ფ.10, ან 1 ს. 107, ფურც. 15-16). XIX ს-ის 90 -იანი წლების მეორე ნახევრიდან ბარკასები აქტიურად ჩაერთნენ აღნიშნულ პროცესში. რამაც, 900 -იანი წლების დამდეგიდან მიიღო ინტენსიური ხასიათი. 1901 წლის მონაცემებით ჭოროხის სანაოსნო გზით ტრანსპორტირებული იქნა 800 ათას ფუთამდე მადანი. 900 -იანი წლების მდგომარეობით ჭოროხის გზით აღნიშნული ტვირთების გადმოზიდვებს ემსახურებოდა 70-მდე „ჭოროხული ბარკასი“. რაც შეადგენდა ჭოროხის სანაოსნო არტერიას მომსახურე ნავების 30 % (რ. უზუნაძე, 2001:232-233).

და ბოლოს, შეიძლება გავაკეთოთ რეზიუმე:

1. ართვინის (ისტ. ნიგალის) ხეობაში სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარებამ განაპირობა, მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში ბარკასების გამოყენება.
2. აღნიშნულმა პროცესებმა, შეუწყო ხელი რეგიონის სამდინარო ნაოსნობაში რკინის ნავების/„ჭოროხული ბარკასების“ წარმოქმნას. თავის მხრივ, მდინეული ტვირთების ბარკასებით გადმოტანამ გარკვეულად შეუწყო ხელი ართვინის (ნიგალის) მხარეში სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარებას.

შენიშვნები:

1. გაზ. „დროება წერდა“. „ამ რთულ ვიწრო, ციცაბო გზების გამო კაცის ურმის მონატრული გახდება“. გაზ. „დროება“ მ # 28, 1879.

2. ნავი იპოვა მარადიდის მკვიდრმა ნარიმან აბაშიძემ. მან ამის თაობაზე აცნობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იმჟამინდელ გამგებელ თემურ ღუმბაძეს. გამგებელმა ნაპოვნი არტეფაქტის შესახებ შეატყობინა აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოს. საქმეში ჩაერთო ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ჯგუფი, მისი დირექტორის, პროფესორ ამირან კახიძის თაოსნობით. ჯგუფი ავიდა სოფ. მარადიდში. მდინარიდან ამოიღეს ნავი. გაიწმინდა შლამისაგან და მოხდა მისი გადატანა - განთავსება მუზეუმის ეზოში. ამჟამად იგი განთავსებულია გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, ღაცის ქვეშ.
3. ბარკასი (ჰოლანდ. Barkas). არის დამხმარე ნავი. აქტიურად გამოიყენებოდა ნავსადგურის აკვატორიაში.
4. იხ. აღ. დავითაძე, 1983:64-65; ზ. კუტალიეშვილი, 1987: 85-88, 335.
5. იხ. დანართი # 10. ღუზა დამზადებულია მეტალისაგან, ზომები: სიმაღლე 1,4 მ., სიფართო-0,4 მ., წონა - 65 კგ.
6. 1890 წ. ამოქმედდა პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სოფ. ერგეში. იგი მუშაობდა ხოდის (ართვინის მხარე) საბადოებზე მოპოვებული სპილენძის მადანის ბაზაზე. მისი წლიური წარმადობა გაანგარიშებული იყო 20 ათას ფუთ სუფთა სპილენძზე (მ. სიორიძე, 2008: 1144; რ. უზუნაძე, 2011:71)

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ცსა, ფ. 16, ანას, საქმე 107
2. თ.ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
3. აღ. დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. ბათუმი, 1983
4. ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987
5. Кавказский календарь, Тифлис, 1903
6. ნ. კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში. სდსყკ, IV. თბ., 1987.
7. Левашов С.Н. Зариски о пограничной линии и зон на расстоянии от черного моря до г. Артвина. ТИОИИТРО. т. 6, # 2, Тифлиси, 1980
8. Лисовский В. Чорохский край. Тифлис. 1887
9. ჟ. მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962
10. მ. სიორიძე, ბათუმის ოლქში სამთო-მეტალურგიული მრეწველობა. სდსინ (აჭარა), ტ. III, ბათუმი, 2008.
11. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001
12. რ. უზუნაძე, სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. სდსინ-1987, თბ., 1991.
13. რ. უზუნაძე, ბათუმის ოლქში სამდინარო ტრანსპორტი. სდსინ (აჭარა), ტ. 3 ბათუმი, 2008
14. რ. უზუნაძე, სოფელ ერგეს წარსულიდან, თბ., 2011

Revaz Uzunadze

Merab zunadze

FOR THE HISTORY OF THE LONGBOAT SAILING ON THE RIVER CHOROKHI

(Reziume)

The long boat was found in the Chorokhi River, near the village of Maradidi. As the investments show, the use of such barcas is related to development. It is an identical construction of the "Chorokhuli boat". It was made of iron. This type of ship can be called a "rumored longboat". Place of construction – Batumi

საქართველო-ნატოს ურთიერთობა და ამერიკის შეერთებული შტატები

აბსტრაქტი. სოციალიზმის საერთაშორისო სისტემის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კორექტირება, ახალი სახელმწიფოების წარმოშობა და გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები, რამაც სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეპოქას. წარმოიშვა ძალთა ახალი ცენტრები, რომელთა შორის გავლენის სფეროებისთვის გაჩაღებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბა საერთაშორისო წინააღმდეგობები.

სამხრეთ კავკასია, უფრო ფართო გაგებით, შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონი, იქცა გლობალური და რეგიონული მასშტაბის ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სივრცედ „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში, რომელმაც დაპირისპირების უმაღლეს დონეს აღნიშნული მოვლენების დროს მიაღწია.

1. ნატო გააქტიურდა რეგიონში და ინტენსიურად დაიწყო შავ ზღვაში სამხედრო ნაოსნობა, ერთობლივი წვრთნები და „ფლაგ შოუ ვიზიტები“.

2. ევროკავშირი და ნატო ბულგარეთ-რუმინეთის მიმართულებით გაფართოვდა (2007 წ.), ხოლო რეგიონის სამმა სახელმწიფომ - უკრაინამ, საქართველომ და მოლდავეთმა - ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიიღეს მტკიცე პირობა, რომ ისინი ერთ დღეს ალიანსის წევრები გახდებოდნენ.

ამ და სხვა მოვლენებმა, შავი ზღვა და მასთან სამხრეთ კავკასია აქცია გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად.

Georgia-NATO relations and the United States of America

Abstract. The collapse of the international system of socialism and the emergence of new sovereign states in the post-Soviet space led to the correction of the political map of the world, the emergence of new states and global geostrategic changes, which ushered in a new era of international relations. New centers of power emerged, between which the struggle for spheres of influence intensified international contradictions.

The South Caucasus, in a broader sense, the Black Sea-Caspian region, has become one of the most attractive spaces of global and regional superpower rivalry in the post-Cold War era, which reached its highest level of confrontation during the aforementioned events.

1. NATO became active in the region and intensively started military sailing, joint exercises and "flag show visits" in the Black Sea.

2. The European Union and NATO expanded in the direction of Bulgaria-Romania (2007), and the three states of the region - Ukraine, Georgia and Moldova - made a firm promise at the 2008 summit in Bucharest that they would one day become members of the alliance.

These and other events made the Black Sea and the South Caucasus with it one of the key issues of global politics

სოციალიზმის საერთაშორისო სისტემის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კორექტირება, ახალი სახელმწიფოების წარმოშობა და გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები, რამაც სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეპოქას. წარმოიშვა ძალთა ახალი ცენტრები, რომელთა შორის გავლენის სფეროებისთვის გაჩაღებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბა საერთაშორისო წინააღმდეგობები.

სამხრეთ კავკასია, უფრო ფართო გაგებით, შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონი, იქცა გლობალური და რეგიონული მასშტაბის ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ

ყველაზე მიმზიდველ სივრცედ „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში, რომელმაც დაპირისპირების უმაღლეს დონეს აღნიშნული მოვლენების დროს მიაღწია.

1. ნატო გააქტიურდა რეგიონში და ინტენსიურად დაიწყო შავ ზღვაში სამხედრო ნაოსნობა, ერთობლივი წვრთნები და „ფლაგ შოუ ვიზიტები“.
2. ევროკავშირი და ნატო ბულგარეთ-რუმინეთის მიმართულებით გაფართოვდა (2007 წ.), ხოლო რეგიონის სამმა სახელმწიფომ - უკრაინამ, საქართველომ და მოლდავეთმა - ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიიღეს მტკიცე პირობა, რომ ისინი ერთ დღეს ალიანსის წევრები გახდებოდნენ.

ამ და სხვა მოვლენებმა, შავი ზღვა და მასთან სამხრეთ კავკასია აქცია გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილმა ტერორისტულმა აქტმა, რასაც შეერთებული შტატების მხრიდან მოჰყვა სამხედრო ოპერაციები: ავღანეთში და მოგვიანებით, ერაყშიც, სამხრეთ კავკასიის ინტერესი ვაშინგტონის მხრიდან გაზარდა. საქართველომ თავი ანტიტერორისტული კოალიციის წევრად გამოაცხადა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალებს თავისი საჰაერო და სახმელეთო ტერიტორიების გამოყენება შესთავაზა. „ანტიტერორისტული კოალიციის ფორმირება, აშშ-ის საგარეო სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა“. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს, რომელსაც „ფართო ახლო აღმოსავლეთის“ შესახებ ახლად ფორმირებული ამერიკული კონცეფციის ფარგლებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა, განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა. ეს რეგიონი პირდაპირ ემიჯნება იმ არსებულ (ან პოტენციურ) „ცხელ წერტილებს“, რომელთა გადაწყვეტაც, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა და წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის რეგიონს, (განსაკუთრებით საქართველოს) ნატო-ში ინტეგრაციისა და ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობის გზით, ისტორიული შესაძლებლობა მიეცა, გამხდარიყო ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ NATO-სთან ურთიერთობა. აშშ ცალსახად უჭერს მხარს „ნატო-ს“ ბლოკის გაფართოვებას საქართველოსა და უკრაინის ხარჯზე. მეცნიერთა უმრავლესობის შეფასებით, საქმე ეხება აშშ-ის გავლენის კიდევ უფრო გაფართოებას არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ცენტრალურ აზიასა და მთელს ევრაზიაში (გრძელვადიან პერსპექტივაში). ამ კონტექსტში, ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კონტროლის განხორციელება ევრაზიის ისეთ ძლიერ სახელმწიფოებზე, როგორებიცაა რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მიერ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან (თუნდაც მხოლოდ აზერბაიჯანსა და საქართველოსთან) სამხედრო თანამშრომლობის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რეგიონში სტაბილური ვითარების შექმნას და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც ამერიკის სტრატეგიული ინტერესების სფეროშიც შედიოდა. ბუნებრივია, კავკასიაში აშშ-ის ინტერესთა სფეროში, არა მხოლოდ ნავთობი შედიოდა. ბრუნდა შაფერი და სხვა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ საქართველომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ვაშინგტონისათვის ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტშიც“. (პიპინაშვილი:2009).

ბუნებრივია საქართველოც, სხვადასხვა ნაბიჯებს დგამდა NATO-სთან დასაახლოებლად. ჩვენმა ქვეყანამ, განახორციელა თავდაცვის ფართომასშტაბიანი რეფორმა, რის შედეგადაც თანდათანობით ჩამოყალიბდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისი გაზრდილი შესაძლებლობების მქონე, თანამედროვე, ეფექტიანი და მდგრადი შეიარაღებული ძალები, რომელთაც ძალა შესწევთ დაძლიონ ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი სამხედრო საფრთხეები. NATO-სთან „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ და მიმდინარე თავდაცვის სისტემის სტრატეგიული

მიმოხილვა საფუძვლად უდევს ზემოაღნიშნული რეფორმების განხორციელებას და მდგრადობას.

საქართველო NATO-ს განიხილავს როგორც კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას, რომელიც ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმთავრესი მექანიზმია. NATO-სთან თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, განსაკუთრებით – თავდაცვის სფეროში, ასევე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. NATO-ში გაწევრიანებით საქართველო არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტიებს მიიღებს, არამედ თავის წვლილს შეიტანს ევროპის, განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველომ თავისი მზადყოფნა, გაიზიაროს კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობა, უკვე დაამტკიცა ანტიტერორისტულ ოპერაციებში, სამხედრო კონტინგენტის გაგზავნით.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ნატოს წევრობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. ნატოსთან თავსებადობის გაზრდის მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალები აგრძელებს, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას და მონაწილეობას ღებულობდა, ერთობლივ წვრთნებსა და მრავალეროვნულ საერთაშორისო ოპერაციებში. ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო სრულად იზიარებს გლობალური გამოწვევებიდან მომდინარე საფრთხეებს, იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ამაჯდროულად, იძენს მნიშვნელოვან გამოცდილებასა და ცოდნას, რაც ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას და ზრდის ნატოსთან თავსებადობას. ნატოსთან აქტიურ ურთიერთობაში საქართველოს დახმარებას უწევდა და უწევს შეერთებული შტატები, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტთან და მიისწრაფვის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გააქტიურებისკენ. თანამედროვე, კარგად მომზადებული და სათანადოდ აღჭურვილი შეიარაღებული ძალები წარმოადგენს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ქვაკუთხედს. საქართველო გააგრძელებს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების წარმატებით შესრულება. თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებასა და ამაღლებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება, მრავალეროვნულ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობა და თავდაცვის სფეროში ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა ნატოსა და პარტნიორ ქვეყანა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად.

2004 წლის 29 ოქტომბერს NATO-მ დაამტკიცა საქართველოს NATO-სთან თანამშრომლობის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), რომლის შესრულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს NATO-ში გაწევრიანებისათვის. ეს გეგმა ითვალისწინებს კომპლექსურ რეფორმებს პოლიტიკის, თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის და სხვა სფეროებში, რაც აუცილებელია საქართველოს სტაბილურ დემოკრატიულ ქვეყნად და NATO-ს სანდო პარტნიორად გადასაქცევად. თავად ამ ურთიერთობების განმსაზღვრელი გახდა აღნიშნული ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი - ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმები. IPAP და ENP AP შესაბამისად 2004 და 2006 წლებში იქნა მიღებული. ორივე დოკუმენტი ეხებოდა უსაფრთხოების სექტორისა და პოლიტიკის თემას. მაგალითისთვის, IPAP -ის პირველი თავი ზოგად პოლიტიკურ

საკითხებს და დემოკრატიზაციას ეხება. (დარჩიაშვილი: 2008). ამასთან, უსაფრთხოების ტრადიციული პრობლემატიკა ნატოს კომპეტენციაა. SDR-ის შემუშავების და გამხილვის პროცესი 2007 წლის ნოემბერში, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერით დასრულდა. ამ დოკუმენტის შექმნა ქვეყნის ხელისუფლებას ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის მიხედვით ჰქონდა ვალდებულად აღებული. SDR აჯამებს თავდაცვის სფეროში ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტს, არსებითად ეს სქელტანიანი დოკუმენტი არის უნარებზე დაფუძნებული ძალთა სტრუქტურის მიმოხილვის და დაგეგმვის პროცესის ინსტიტუციონალიზმის პირველი მცდელობა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ურთიერთობა აშშ-ის შუამავლობით NATO-სთან გახლდათ 2005 წელს ყირიმი „მშვიდობის“ ფარი -2005“ სწავლება. ყირიმის ქალაქ ფეოდოსიაში საერთაშორისო სამხედრო -საზღვაო სწავლებები, კოდური სახელწოდებით „მშვიდობის ფარი-2005“ გაიმართა. NATO-ს წევრი და პარტნიორი 36 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად წვრთნებში ქართველი სამხედროებიც მონაწილეობდნენ. სწავლებებზე ქართულ მხარეს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ოცეული წარმომადგენდა. რომელსაც ბრიგადის მეთაურის მოადგილე, მაიორი ირაკლი ჭუმბურიძე ხელმძღვანელობდა. ქართული ქვედანაყოფი ამერიკული ასეულის შემადგენლობაში იმყოფებოდა. (სამხედრო ჟურნალი „არსენალი“: 2005).

2005 წლის ივნისში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ვაშინგტონში იმყოფებოდა. პენტაგონში შეხვედრისას, აშშ-ის და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები განიხილეს. მოლაპარაკებების მეორე მნიშვნელოვანი თემა საქართველოს ნატოსთან „ინდივიდუალური პარტნიორობისა“ და ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ თანამშრომლობის ფარგლებში არსებული გეგმის შესრულება გახდა. ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 2006 წლის ბოლოსათვის ალიანსში შესვლის კანდიდატი გახდეს. ამაში თბილისს ვაშინგტონის დახმარების იმედი აქვს. სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა სამხედრო თანამშრომლობის სფეროში არსებული თემები, მათ შორის აშშ-ის მიერ ქართველი ოფიცრების მომზადების პროგრამის რეალიზაცია. „არ გვსურს, რომ რომელიმე არაკეთილგანწყობილი ქვეყანა გვაფერხებდეს და ამით ხელს უშლიდეს ჩვენს სწრაფვას ნატოსკენ. გვსურს ჩვენი ამერიკელი კოლეგები დავარწმუნოთ იმაში რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისას შეიძლება დაუჭირონ მხარი კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებული საკითხის მოგვარების გარეშე“. დასძინა ოქრუაშვილმა.

მომდევნო წელს, 2006 წლის თებერვალში კრწანისში საწყისი საბრძოლო მომზადების ახალი პროგრამა დაიწყო. მომზადება პირველი და მეორე ბრიგადების ლოგისტიკის ორმა ბატალიონმა გაიარა. ფიზიკური და სამტაბო მომზადება, სპეციალობის მიხედვით, სატრანსპორტო სარემონტო და მომარაგების ქვედანაყოფებს ჩაუტარდათ. 600 სამხედრო მოსამსახურეს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ცხრა კვირის განმავლობაში ამზადებდნენ. ცხრაკვირიანი წვრთნების დასრულების შემდეგ, ორივე ბატალიონის პირადი შემადგენლობამ ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე დამატებითი პრაქტიკულ მომზადებაც გაიარა. მომზადების შემდეგ, კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში, ქართულ-ამერიკული სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის (SSOP) ფარგლებში მომზადებულმა ლოგისტიკური უზრუნველყოფის ასეულმა საჩვენებელი წვრთნები გამართა. მისი მიზანი მზადების პერიოდში შესასწავლი მასალის პრაქტიკული განხორციელება იყო. SSOP-ის ფარგლებში ოთხთვიან საწვრთნელ კურსს, ამერიკელი საზღვაო ქვეითები ხელმძღვანელობდნენ. ისინი ქართველ სამხედროებს NATO-ს სტანდარტების შესაბამისად ამზადებდნენ. საბრძოლო კურსი ითვალისწინებდა: ტაქტიკურ-საცეცხლე და ტოპოგრაფიულ მომზადებას, ასევე თავდაცვისთვის პოზიციების შერჩევისა და ჩასაფრების ტექნიკის დაუფლებასა, სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებას.

2006 წლის 28-29 ნოემბერს გაიმართა NATO-ს რიგის სამიტი. ამ სამიტს „ტრანსფორმაციის სამიტი“ ეწოდა. ტრანსფორმირება კი, ძირითადად შემდეგ მიმართუ-

ლებებს უნდა შეხებოდა: ტერორიზმსა და სხვა გლობალურ საფრთხეებზე რეაგირებას, NATO-ს სარდლობისა და ჯარების ოპერატიულ თავსებადობას საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე და ალიანსის ოპერაციებში წილობრივი მონაწილეობის გაზრდას.

რიგის სამიტზე აკრედიტებული 1500 ჟურნალისტის საერთო შეფასებით ამ მსოფლიო დონის შეხვედრის მთავარი ინტრიგა იყო ორი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ლატვია როგორც სამიტის მასპინძელი, პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა და საქართველო, რომელიც პარლამენტის თავჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ერთადერთი მაღალი რანგის, პოლიტიკური ლიდერი გახლდათ, რომელიც საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა რიგის სამიტს. მანსპინძლების ძალისხმევით 27 ნოემბერს, ერთი დღით ადრე, ვიდრე NATO-ს სამიტი გაიხსნებოდა საქართველოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც ამერიკის სენატის თავადცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავჯდომარემ რიჩარდ ლუგარმა ყველა გააოცა პროქართული პოზიციით. ლუგარმა მოუწოდა, NATO-ს „საქართველო დაჩქარებული წესით, მიუღოთ, გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში.

საქართველოზე ყურადღება გაამახვილა, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც რიგის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას. ჯორჯ ბუშის თქმით, რეფორმების გატარების შესაბამისად ვაშინგტონი შემდგომშიც დაუჭერს მხარს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას. შესაბამისად დეკლარაციაში, რომელიც რიგის სამიტმა, 29 ნოემბერს მიიღო, საქართველო - NATO-ს ურთიერთობაზე ერთბაშად ორ პუნქტშია ლაპარაკი. 37-ე და 39-ე პუნქტებში არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის მიმართ, მტკიცე მხარდაჭერაზეა ლაპარაკი, არამედ NATO-ს ქვეყნების მოლოდინზე რომ გაგრძელდება პროგრესი, პოლიტიკურ ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში რაც ითვალისწინებს, სასამართლო სისტემის რეფორმირების გაძლიერებას, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე, არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. NATO-ს დეკლარაცია, აგრეთვე, მოუწოდებს, რეგიონის ყველა წევრ ქვეყანას, კონსტრუქციულად ჩაერთონ, რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერებაში. წესით ამაზე უფრო მეტისა და უფრო კონკრეტულად თქმა ერთი დეკლარაციის ფარგლებში შეუძლებელია.

საერთაშორისო ტერორიზმი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხეა. საქართველო, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური მონაწილე, შესაძლოა იქცეს საერთაშორისო ტერორისტული აქტების სამიზნედ. ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურაზე ან/და ობიექტებზე, განსაკუთრებით – საერთაშორისო ნავთობ და გაზსადენებზე და საქართველოში მდებარე სხვა სახელმწიფოების კუთვნილ ობიექტებზე. საქართველოს ამ მხრივ დიდი წვრილი შეაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობა ანტიტერორისტულ ოპერაციებში ქვეყნის გარეთ ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე დაიწყო და შემდეგ უფრო გაღრმავდა. ჩვენ ქვეყანას შეერთებულ შტატებთან ერთად დიდი წვრილი შეაქვს, მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველო ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობას 2004 წლიდან უკვე აქტიურად ახორციელებს. მათგან გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამშრომლობა.

მე-11 მექანიზებული ბრიგადის 113-ე შავნაბადას მსუბუქ-ქვეითთა ბატალიონის სრული შემადგენლობა ერაყში სამშვიდობო მისიით გაემგზავრა 2005 წელს. „შავნაბადას ბატალიონმა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა 2003 წლის მაისში დაიწყო. შემდეგ პერიოდში, მხარდაჭერისა და სტაბილურობის ოპერაციების უზრუნველყოფის პროგრამის (SSOP) ფარგლებში გაწვრთნილი ორი ქართული ბრიგადა, ასევე ამერიკელებთან ერთად ერაყში იბრძოდა მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად. „ოპერაცია ერაყის გათავისუფლებისთვის“ დაწყებიდან 2008 წლის აგვისტომდე, 7800 ქართველმა ჯარისკაცმა შეერთებული შტატების ძალებთან ერთად იმსახურა ერაყში. ამერიკული მხარე მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს თანამონაწილეობას ერაყის სამშვიდობო ოპერაციებ-

ში. 2005 წლის დასაწყისიდან ერაყში 859 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა, რომლებიც სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობდნენ. ერაყში ვითარების კომენტირებისას აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, დონალდ რამსფელდმა მაღალი შეფასება მისცა ქართველების მონაწილეობას ოპერაციებში. მან განსაკუთრებულად აღნიშნა ქართველების გამბედაობა და თავდადება. მისი თქმით, ისინი ანტიტერორისტული კოალიციის შემადგენლობაში ღირსეულად წარმოადგენენ სამშობლოს.

2005 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოში ვიზიტისას, თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი ერაყსა და ავღანეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებსაც დაუთმო. „თქვენ ეხმარებით სხვა ქვეყნებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში, როცა ავღანელმა ხალხმა ქვეყნის პირველ დემოკრატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. ქართველი ჯარისკაცები იქ წესრიგის დასაცავად იმყოფებოდნენ, როდესაც ერაყში, ტერორისტული ძალადობა, მძაფრდებოდა საქართველომ აჩვენა თავისი გამბედაობა. თქვენ ერაყში ხუთმაგად გაზარდეთ ჯარისკაცების რიცხვი: ერაყელები, ამერიკელები და ჩვენი კოალიციის მოკავშირეები ამისთვის მადლობელნი არიან“ განაცხადა ჯორჯ ბუშმა. მალევე ბუშის ვიზიტის შემდეგ იმავე წლის 10 სექტემბერს საქართველომ ქუთაისის მეორე ბრიგადის 21-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა ერაყში საზღვიმო ვითარებაში გააცილა.

მომდევნო 2006 წლის დასაწყისში, მე-11 ბატალიონის ერაყში სამსახურის დროს ბატალიონის სრული შემადგენლობა დაჯილდოვდა სპეციალური მედლებით, რომელთაც მხოლოდ ამერიკელ ჯარისკაცებს ანიჭებენ განსაკუთრებული დამსახურების გამო. ბატალიონის მეთაურს, შავლეგ ტაბატაძეს ამერიკულმა, მხარემ პირველი ხარისხის, დანარჩენ სამხედროებს კი მეორე ხარისხის მედლები გადასცა. მეთაურის განცხადებით, მე-11 ბატალიონი პირველია იმ ქართულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებსაც სამშვიდობო მისია ერაყში აქვთ შესრულებული და მედლები დაიმსახურეს. საქართველო წარმოადგენდა „უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების“ (ISAF) ოპერაციის ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორ ქვეყანას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაწევრი/პარტნიორი ქვეყნებიდან. ამასთან, ნატოში გაწევრიანება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ზემოხსენებული პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად, საქართველოს შეიარაღებული ძალები კვლავ განაგრძობდა ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას, მრავალეროვნულ წვრთნებსა და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობას. 2006 წლის გაზაფხულზე საქართველოს თავდაცვის სფეროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საქართველო შემოდგომაზე ჩაერთვება ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში. ლაპარაკია სამოქალაქო და სამხედრო კომპონენტებზე, კერძოდ, ავღანეთის რეაბილიტაციის პროგრამაში ქართველი მედიკოსების, ინჟინრების და სხვა სპეციალისტების ჩართვაზე, რომელთა უსაფრთხოებას ქართული ქვედანაყოფი უზრუნველყოფდა. მრავალეროვნულ ანტიტერორისტულ, სამშვიდობო, სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო იღებს მდიდარ გამოცდილებას, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამით მას თავისი წვლილი შეაქვს ევროა-ატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. მსოფლიოს ანტიტერორისტული კოალიციის წევრობით საქართველოს საკუთარი წვლილი შეაქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ NATO-ს ოპერაციებში ავღანეთში და სამშვიდობო მისიით იმყოფებოდნენ კოსოვოსა და ერაყში.

კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ევროკავშირის და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების საქმეში. უკანასკნელ პერიოდში კავკასიური ფაქტორი მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა და კავკასია მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანი-

ზაციებისა და უმსხვილესი საერთაშორისო, ტრანსეროვნული კომპანიების აქტიური ყურადღების ცენტრში მოექცა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ, რომ ვაშინგტონის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში კომპლექსურია: ოფიციალური ვაშინგტონი ახერხებს ერთმანეთს შეუთავსოს ენერგეტიკულ პრობლემებთან და გეოპოლიტიკურ მოსაზრებებთან დაკავშირებული ღონისძიებები იმისათვის, რათა მიაღწიოს ყოვლისმომცველ რეგიონულ სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში. ზემოდ აღნიშნული მოვლენების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, აშშ-ს არ აქვს ერთ-განზომილებიანი მიდგომა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მიმართ. თუმცა, აშშ-ს აქვს სამი სტრატეგიული ინტერესი, რაც საერთოა სამხრეთ კავკასიის მთელი რეგიონისთვის. ეს ინტერესებია: 1) ენერგეტიკა: ვაშინგტონისთვის ძირითადი სტრატეგიული ინტერესია; 2) უსაფრთხოება: ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; 3) შიდა რეფორმების განხორციელება: რეფორმები დემოკრატიისა და ეკონომიკის სფეროებში ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტის შემთხვევაში, აშშ მიაღწევს თავის მიზანს კავკასიის რეგიონში და მისი მოწინააღმდეგეების გავლენის სფეროების ფლობას მინიმუმამდე დაიყვანს.

საქართველო აქტიურად აგრძელებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინიცირებული ანტიტერორისტული კოალიციის პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამებით გაწვრთნილი ნაწილები წარმატებით მონაწილეობდნენ ანტიტერორისტულ და სამშვიდობო მისიებში საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. საქართველო-აშშ-ს პარტნიორობაში კი აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის ეროვნული ინტერესი შეიძლება სავსებით ბუნებრივად ემთხვეოდეს ერთმანეთს, ამავე დროს ვაშინგტონის დახმარება საქართველოსათვის განსაკუთრებულია, არა მხოლოდ უკანასკნელის სახელმწიფოებრივი ძლიერების გენერირების თვალსაზრისით, არამედ რეფორმებსა და დემოკრატიზაციაშიც. ამავე კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსის მხრიდან საქართველოზე გაწვევრიანების სამოქმედო გეგმის გავრცელებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ხსენებულ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრობისთვის. ქართული საზოგადოებისათვის მისაღებია დასავლეთის დემოკრატიული მოდელი, მას სურს დასავლეთის ნაწილი იყოს, რადგანაც დასავლეთის ნაწილად ყოფნა მას რუსეთისგან დამოუკიდებლობას განუშტკიცებს. სწორედ ამიტომ, დასავლური ლიბერალური მოდელისადმი სწრაფვა უსაფრთხოების მიზეზებითაა განპირობებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვალია გ. როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2013.
2. გუდაძე ა. სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობების გამოკვლევა საბაჟო ლოგისტიკის პრინციპების დანერგვის საფუძვლებზე, დისერტაცია. ქუთაისი 2019.
3. დარჩიაშვილი დ. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში 2004-2007. თბილისი 2008.
4. კოპიტერსი ბ. საქართველოს უსაფრთხოების მოდელი: ცენტრი-პერიფერია (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლეგვოლდი. (რედ) თბილისი, 2006.
5. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. თბილისი 2014.
6. სახელმწიფო და უსაფრთხოება. თბილისი 2006 წელი.

7. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია,
<http://www.nsc.gov.ge/files/files/National%20Security%20Concept.pdf>.
8. სამხედრო ჟურნალი „არსენალი“. 2004-2007 წლების გამოცემები.
9. ხუციშვილი ნ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძლიერი და სუსტი მხარეები, სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი, 2020.
10. <http://www.whitehouse.gov> აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
11. <http://www.state.gov> აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.
12. <https://ge.usembassy.gov/ka> აშშ-ის საელჩო საქართველოში.
13. <http://www.president.gov.ge> საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
14. <http://www.parliament.ge> საქართველოს პარლამენტი.
15. <http://www.mfa.gov.ge> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
16. <https://mod.gov.ge> საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
17. usa.mfa.gov.ge საქართველოს საელჩო აშშ-ში.
18. Civil.ge
19. STRATEGIC PLAN . Fiscal Years 207-2009. Revised May 7, 2007.
20. U.S. Department of State „U.S. Interests and foreign policy priorities in South Asia,“ statement before the house committee on international Relations, Washington, DC, June 22,2004.

მგლის კულტის კროსკულტურული (სოციალურ ფსიქოლოგიური) პარალელები ინდოევროპულ, თურქულ და ქართულ ცივილიზაციებში

მგლის კულტის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს (35, 242-243). აღნიშნავენ (28, 442-514), რომ ინდოევროპულ ენებში „მგელს“ გარკვეული რიტუალური როლი ენიჭებოდა. ძველი ხეთური ტრადიციის თანახმად, „მგელი“ საკრალური თვისებების განმასახიერებელია. „მგელი“ და „მგლების ხროვა“ ერთიანობასა და ყოვლისმცოდნეობასთან არის გაიგივებული. მაგალითად, მეფე ხატუსილი, როდესაც მეომრებს მიმართავს, მოუწოდებს მათ ისეთივე ერთიანობა დაიცვან, როგორც ეს „მგლის მოდგმას“ ახასიათებს. მგლის ტყავების ჩაცმა (ადამიანი-მგლები) ადამიანებისა და მგლების გაიგივებას უკავშირდება, რასაც მაგიურ ძალას მიაწერდნენ და განსაკუთრებული იურიდიული მდგომარეობის აღმნიშვნელიც იყო. ძველბერძნულ ტრადიციაში მკვლელობის რიტუალური ფორმის დროს ადამიანი მგლად გადაიქცეოდა. ასეთ მდგომარეობას შეესატყვისებოდა გერმანული ტრადიცია, როდესაც მკვლელი „მგლად იწოდებოდა“. ძველ ხეთურ რიტუალთან პარალელებს ვპოულობთ (28, 495) გერმანულ ჩვეულებებში, როდესაც შობის დღესასწაულზე მგლის ტყავში ჩაცმული მეომრების ცეკვები სრულდებოდა. საყურადღებოა, გერმანულ (და არა მხოლოდ) კულტურაში საკუთარ სახელებში ლექსება „მგლის“ გამოყენება. მგლის სახელს უკავშირდებიან ე.წ. მაქცია-ვურდალაკები, რომლებიც ყველაფრის „მცოდნენი“ იყვნენ. მგელს ძალღმრთაობა აიგივებდნენ. მაგალითად, ლატვიურში გვხვდება „ღვთის ძალი“, ბალკანეთის ძველ ინდოევროპულ ენებში დაფიქსირებულია „კანდავლას“-ი, მგლის ღვთიური კულტი, რომელსაც მსხვერპლად ძაღლებს სწირავდნენ.

გავრცელებული იყო სიტყვა „მგლის“ ფუძესთან დაკავშირებული ეთნონიმები და ტოპონიმები. მრავალი ხალხი და ქვეყანა „მგლის სახელით“ მოიხსენიებოდა, რაც, ალბათ, ტოტემურ წარმომობას (28, 495) ადასტურებს. მაგალითად, ძველ იტალიაში ტომი „ლუკანი“ „მგლის“ ფუძეს უკავშირდება; ბალკანეთში „დაკების“ სახელწოდება „მგლის“ ფუძემდე დაიყვანება; საბერძნეთში და მცირე აზიაში „ლიკონია“ მითოლოგიურ მეფე „ლიკონასთან“ არის დაკავშირებული, რაც, აგრეთვე, სიტყვა „მგლის“ ფუძეს ასახავს; ასევე, მცირე აზიაში, ფრიგიას ძველ დროში მცხოვრები ტომი „ორკა“, სარმატული ტომი „ურგი“ და ძველსპარსულად ქვეყნის სახელწოდება „ჰირკანია“ მგლის სახელიდან წარმოდგება (28, 495).

ინდოევროპულ ტრადიციაში ეტიმოლოგიურად „ტურა“ და „მელია“ უკავშირდება „მგელს“. პარალელები სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, აფხაზურში „აბგა“ (მგელი) აღნიშნავს „მელიასა“ და „ტურას“. საყურადღებოა, რომ ქართულ ხალხურ ლექსებშიც „მგელი“ და „ტურა“ ხშირად ერთმანეთის იდენტურ ცნებებად გამოიყენება. ასე რომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ არა მხოლოდ ამ ცხოველთა მსგავსების, საერთო წარმომავლობისა თუ საერთო ფუნქციის გამო ხდება ასეთი გაერთოვნება, არამედ იმის გამო ხდება ამ სიტყვების სინონიმური განთავსება, რომ ეს რაღაც გარკვეული წესის ასახვაა, რომლის მიხედვით ქართულში სხვა ენიდან ნასესხებ სიტყვა „მგელს“ (28, 495) სჭირდებოდა განმარტება იგივე მნიშვნელობის (38, 356-357) ძველი, ქართველური ჰიპოტეზური სიტყვა „თურა“-თი, რომელიც მისი საკულტო, ტოტემური მნიშვნელობის გამო ტაბუირებული იყო (28, 495); ამიტომ მის ნაცვლად გამოიყენებოდა ფონეტიკურად მასთან ახლო მდგომი სიტყვა „ტურა“, რომელიც ამავე დროს მგელსაც მოგვაგონებდა ჟღერადობით. სხვანაირად ძნელია სიტყვა „მგლის“ გამოყენებისას პარალელურად სიტყვა „ტურა“-ს გამოყენების ახსნა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

ავავსე დიდი მინდორი
თათრის ხოჯაის ძვლითა;
მგელს დავაცვით კბილები,
ტურას–ლოყები ჭამითა (22, 39).

სტუმართად ცუდი დიაცი
მყინვარის წვერზემც დარჩება,
ხელთ ბალდი, ზურგთ აკვანი,
ზედ ნიაღვარიმც ასტყდება!
„მიშველეთ“ იმას იძახის,
მეშველი არვინ დაჰხვდება.
აირთვენ მთისა ნიაწიმც,
სული ალ-ქაჯებს დაჰრჩება.
მყინვარის წვერზე მგელ-ტურა
იმასამც ლეშით გაძლება! (20, 51).

აჩუ აჩუ, არღანჩიკო,
ფული არ მაქვს, რა გაჩუქო!
ბატონმა ცხენი მაჩუქა,
ახირებული ბახია,

ნეტამც არ ეჩუქებია,
მამალმა მგელმა გახია.
რო დავაბი პალატში,
თავი სტიკა ტალახში,
დაუყარე თივა-ქერი,
გადააჯდა ტურა-მგელი,
ვითამაშოთ შაურით,
მუზიკით და დაურით (20, 163).

„გიორგიბისთვე რა დადგა,
სიცივეა ძაან ძნელი,
ქრისტიშობისთვე რო დადგა,
თოვლი ჩამოყარა ბევრი,
იანვარი მოწიწინებს,
როგორც შავი ყორის გველი:
„გავწყვიტე ხარი, კამეჩი,
არ გავუშვი ქურა ცხენი,
ხევები ლეშით ავასე,
დავასუქე ტურა-მგელი (15, 194).

როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთ ინდოევროპულ დიალექტში „ძალი“ აღნიშნავს „მგელს“. ასეთი რამ მითოლოგიაშიც შეინიშნება. მაგალითად, გერმანულ „ოდინა-ვოტანის“ ორი წმინდა ცხოველი (მგელი) ძაღლებად იწოდება. მეომრები აღნიშნებიან როგორც „მგლები“ და „ძაღლები“. ადამიანის „მგლად“ გარდაქმნის პარალელურად მიუთითებენ ადამიანის ძაღლად გარდაქმნაზე. ინდოევროპული მითოლოგია მგელს მითოლოგიურ ძაღლს უახლოვებს (35, 242-243).

ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა საქართველოშიც. ვ.ბარდაველიძე წერს, რომ სვანების რწმენით, ზოგიერთ მათ ღვთაებას ჰყავდა თავისი მგლები და ამ მგლებს მათი შინაური სახეობის, ანუ ძაღლის სახელს უწოდებდნენ (ჟედ). მაგალითად, მგლები ჰყავდა „დიდ ღმერთს“ და ისინი „დიდი ღმერთის ძაღლებად“ იწოდებოდნენ (2, 153). ხევსურული ღვთაებების ძაღლებს „მწევარნი“ ერქვათ, ე.ი. შეწევნის, შემწეობის მომცემნი (2, 153). ე.ვირსალაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „ჩემო ყურშაოს“ ციკლი ფოლკლორში (3, 65-73), რაც, აგრეთვე, მგლისა და ძაღლის იდენტიფიკაციისა და საბოლოოდ მგლის კულტის გამოხატულების შედეგი უნდა იყოს.

მგლისა და მგელ-ძაღლის კულტი ძველ საქართველოში კარგად ჩანს სამეცნიერო მასალებიდანაც (1, 31-36; 26, 35-102; 4, 17; 31, 82-90; 25, 42-48 და სხვა).

რუსეთში მგლის კულტი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მგლებისაგან ძროხების ჯოგის დასაცავად, წინ მიმავალ ძროხას ტომარას ჩამოკიდებდნენ, ხოლო რუხი მგლებისაგან ცხენების რემის დასაცავად მათ შემოატარებდნენ ბოქლომს, რაც სიმბოლურად რუხი მგლების ხახის ჩაკეტვას ნიშნავდა (37, 234).

ქართული ფოლკლორის ნაწილი ნადირის პირის შესაკრავ შელოცვებს ეძღვნება და ხშირად ისინი მგლის პირის შეკვრას ითვალისწინებენ. მოგვყავს ერთ-ერთი ასეთი შელოცვა:

სახელო, სახელითა მამითა ძითა, სულითა წმინდითა,
შაულოცამ მგლისას, ნადირისას,
ერთო ღმერთო, ჩამოყარე
ცხრა კლიტური რკინისაო!
შენ შაკარ და შტაბეჟდე
პირი მგლისა, ხელი მეკობრისა!

შენ მიე ყური ბანდისა,
თვალი ფისისა,
კბილი გაზმი სანთლისა,
ენა ნაბდისა.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა! (13, 235).

საფრანგეთში, გერმანიაში და სლავურ ქვეყნებშიც მგელი და ძაღლი განასახიერებდნენ პურეულის სულს. აქაც მგლის კულტთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითად, სილეზიაში ხორბლის უკანასკნელი ძნის შემკვრელს „ხორბლის ძაღლს“ უწოდებდნენ. მგლის კულტი დასტურდება, აგრეთვე, თურქულ ენობრივ სამყაროში (30, 24-25; 29, 483 -500). კანონზომიერია, ვილაპარაკოთ ქართველურ-თურქულ პარალელებზე ამ უძველესი კულტის გააზრების საკითხში.

მგლის კულტი ქართველურ ცივილიზაციაში ცხადად არის წარმოდგენილი. „მგლის ნიღბიანი“ ადამიანები ქართველური კულტურის სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი მოტივია. „მგლის“ კულტის ნაკვალევი განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანურ ტრადიციაში, სადაც „მგელი“, ძველი ინდოევროპული რწმენა-წარმოდგენის მსგავსად, გარკვეული სოციალური ორგანიზაციის სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო სვანური დროშა „ღემი“ კი „მგლის“ კულტთან არის დაკავშირებული (2, 141-156.)

„მგლის“ კულტის ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე ვახტანგ მეფის ზედწოდებაში „გორგასალი“, რაც სპარსულად „მგლის თავს“ ნიშნავს, ხოლო თვითონ სახელი „ვახტანგი“ კი – „მგლის სხეულის მქონეს“. თვით ძველი იბერიის სახელწოდებაც „ჰირკანია“ „მგლის“ სახელს უკავშირდება. როგორც ჩანს, აღრინდელი ზოგადქართველური „მგლის“ აღმნიშვნელი სიტყვა ტაბუირებული იქნა ქართველურ ცივილიზაციაში და ამიტომ ამჟამინდელი ქართული „მგელი“ და მეგრული „გერი“ სომხურიდან ნასესხები ჩანს, ხოლო სვანურში შესატყვისი სიტყვა ბერძნულიდან უნდა იყოს შეთვისებული (28, 496).

ინდოევროპული ტრადიცია რომაელების წარმომოხმობას უკავშირებს მგელს, რომელმაც გამოკვება ძმები **რემი და რომული**. აქ სავსებით კანონზომიერია, ვივარაუდოთ ძველ რომში მგლის კულტის არსებობა. ასეთი ინდოევროპული ტრადიცია სავსებით შეესატყვისება ძველ თურქულ ტრადიციას, რომლის შესაბამისად თურქების წარმომოხმობა მითოლოგიურად აგრეთვე უკავშირდება მგელს, სახელდობრ–ჰუნების მეფისწულისა და მგლის ქორწინებას (30, 24-25). ისტორიული წყაროები (30, 10 - 30) ადასტურებენ, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში ცხოვრობდა **აშინა**-ს ტომი, რომელიც 500 ოჯახისაგან შედგებოდა. ჩინელები **აშინა**-ს ხანის ქვეშევრდომებს **ტუ-კიო**-ს უწოდებდნენ. ამ სიტყვას განმარტავენ, როგორც **თურქ+იუტ**, ე.ი. „თურქები“, მაგრამ მრავლობითი რიცხვის მონღოლური და არა თურქული სუფიქსით. თვითონ სიტყვა **თურქ** ნიშნავს „ძლიერს“, „მაგარს“. ეს კრებისითი სიტყვა შემდგომში სატომო გაერთიანების ეთნიკურ სახელწოდებად გარდაიქმნა. სიტყვა **აშინა** მონღოლური წარმომოხმობის უნდა იყოს, რადგან ამ ენაზე მგელი **შონო/ჩინო**-ა, ხოლო პრეფიქსი „ა“ პატივისცემის აღმნიშვნელი პრეფიქსია ჩინურში. ამრიგად, **აშინა** „კეთილშობილურ მგელს“ ნიშნავს (30, 24-25). ცნობილია, რომ თურქულად „მგელი“ აღინიშნება სიტყვებით **ბური** ან **კასკირ**-ი (30, 24-25) (**კურტი**-ი). ჩინელი ავტორები თვლიდნენ, რომ „თურქი ხანი“-სა და „მგლის“ ცნებები სინონიმებია. დედოფალი საკუთარი ქმრის შესახებ ამბობს – „ხანი მისი თვისებებით მგელია“ (30, 26), ხოლო თურქებზე შეტყვის ინსტრუქციაში ნათქვამია: „უნდა დევნოთ მომთაბარეები და თავს უნდა დაესხათ მგლებს“. ამ შემთხვევაში საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი ქართული ხალხური ლექსი, სადაც ადამიანი საკუთარ თავს მგელთან აიგივებს:

ერთი მგელი გავიზარდე,

ვყავ ნადირობის თვალი (20, 152).

მგლის ოქროს თავი გამოსახული იყო ძველი თურქების დროშებზე (30, 26). აქ პარალელების თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ სვანური ლემის დროშაზე

სინამდვილეში ლომი კი არა, მგელია გამოსახული. გ.ჩიტაია წერდა, რომ ტოტემური ცხოველებიდან საქართველოში, კერძოდ კი სვანეთში, მგელია დადასტურებული. მგელს ზებუნებრივი ფიზიკური და მაგიური ძალა მიეწერებოდა. მისი მოკვლა ტაბუირებული იყო. მოკვლის შემთხვევაში, სვანური ჩვეულების თანახმად, მონადირე ებოდიშებოდა მოკლულ მგელს, რომ შემთხვევით მოუხდა ეს ამბავი, თორემ მას ისევე არ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, როგორც საკუთარ-ძმას. მგლის ტოტემიდან მომდინარეობს სვანური დროშა – **ლემ-ი**. მგლის ტოტემთანაა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი უქმეები და ღღესასწაულები: მგელთუქმე, მგელთკვერაობა, სვანური „ლითხრი“ და სხვა. ამ დროს სრულდებოდა მაგიური ქმედებები, ლოცვა და შელოცვები, ცხვებოდა რიტუალური კვერები და სხვა (24, 222). მგლის კულტისადმი მიძღვნილ თამაშებს თურქულ სამყაროში ადასტურებს ვკორდლეცკი (29, 144). ორი თურქული ლეგენდა თურქების წარმოშობას მგლის მიერ შობილ შვილებს უკავშირებს (30, 26). ლ. გუმილუვი თვლის, რომ **აშინა**-ს სახელწოდებით ცნობილი ტომი პირველად მონღოლურად საუბრობდა და მხოლოდ მოგვიანებით, თურქულენოვან სამყაროში მოხვედრის შემდეგ, მოხდა მისი ასიმილაცია (30, 26), თუმცა, **მგლის** კულტისადმი თაყვანისცემა შენარჩუნებული იყო. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს მრავალი ვერსია თურქების ეთნონიმის თურქული ენისა და, აგრეთვე, ინდოევროპული ენების საფუძველზე ასახსნელად (39), მაგრამ ყველა ასეთი ვერსია ნაკლებ სანდოა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, თურქების ეთნონიმის ასახსნელად ახალი ვერსიებისა და ჰიპოთეზების შემუშავება.

ქართულმა ფოლკლორმა არ შემოგვინახა ისეთი ლეგენდა თუ მითი, რომლის მიხედვით შეგვეძლო ქართველთა მითოლოგიური წარმოშობა მგელთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ ზოგიერთი სიუჟეტის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ ასეთი ლეგენდის არსებობა.

გავიხსენოთ, ყველასათვის ცნობილი ხალხური ლექსი:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან
ჯავრი შეჭამონ მტრისანი (16, 81).

ამ ლექსიდან კარგად ჩანს, რომ შურისმაძიებელი „ლეკვები“, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქართველი ვაჟკაცების ტოლფასი ცნებებია, მგლის ნაშობნი არიან და ამ თვალსაზრისით კანონზომიერად უნდა დავასკვნად, რომ ქართველთა მითოლოგიური წინაპარი, ისევე, როგორც ინდოევროპულ და თურქულ მითოლოგიაში დასტურდება, მგელი უნდა ყოფილიყო.

ზემოთ მოყვანილი ლექსი ერთადერთი რომ ყოფილიყო, მაშინ ეჭვი შეგვეპარებოდა ჩვენს ვარაუდში, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართული ფოლკლორი ინახავს მრავალ ანალოგიურ სიუჟეტს. მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი:

ცოლს-შვილს ნუ სჯავრობ, ყაჩაღო,
ორ ლეკვ გასწირე მგლისაო.
ორივაც ღმერთმა გაზარდას!
ჯავრი არ სჭამან მტრისაო (22, 170).

დამალაჰვივა ქისტეთი,
მემრ მამკლა, დამასვენაო!
ნუ ასჩქარდები, წვრილაო,
ხან არ გასულა ბევრაო.
შურის საძებრად მგლის ლეკვთა
სავლოდ უდგას ღრენაო (22, 199).

გახედე ჩობოლაურთასა,
გაპტყელებულსა ცასავითა,
შიგ ნადგომ შენ ძმას მარტიასა,
გაბუსანებულს მთასავითა.
ბერო ბეჯიავ, რას უდგახარ?
დგახარ უსტოვოს ხესავითა,

შურის საძებრად მიდიან,
ჯავრნი ჰქონ ბუსურბნისანი,
შონით ჰყავ სახლის კაცები,
მსწავლენ არ უნდან გზისანი.
ბებერმ ფარმ გადაიარა,
გადიყონ ლეკვნი მგლისანი“ (17, 56).

გადაიქცევი და ხმა არ გაქვ
ამ შენს ძმას მარტიასავითა.
რას ტირი ჯალაბურთ ქალო,-
მგელს ლეკვნი კიდევ მორჩომნიან
დაიზრდებიან მგლის ლეკვები,
მამის ნადგომზე დადგებიან (18, 83).

რა გიხარია, ძაღლებო,
ლეკვნი იქავ მარჩეს მგლისაო,
ა იმავ მამის შვილნია,
არ შეგარჩენენ ჭირსაო (17, 85).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც თავის დროზე მგლის დასახელება სვანურ დროშაზე შეიცვალა ლომის დასახელებით, ასევეა ქვემოთ წარმოდგენილ სიუჟეტში. მოგვყავს ტექსტი:

ის უუბნია ღუმმანსა:	აისხეს იარაღები,
„აღარ არიან წახდესო“,	სამტეროს გზაზე შადგესო,
ის კი აღარვის უთქომის,	ისევ მოიდენ ცოცხალნი,
თუ ლომს ლეკვები დაჰრჩესო,	მამის კერაზე დასხდესო (16, 82).

აქ უეჭველი პარალელი გვაქვს ძველ ინდოევროპულ ტრადიციასთან, სადაც მეომრები მგლებთან არიან გაიგივებულნი (28, 495-496). ქართული ფოლკლორი გვიდასტურებს, რომ მთლიანად სამხედრო ორგანიზაცია, ერთობა „მგლის“ კულტს უკავშირდებოდა. ეს მოტივი კარგად ჩანს ხალხურ ლექსში „ჰევსურები აწყურთან“.

სანეს ვევსურებ იყრების,	ლეღ-უბან გადმოდიოდეს,
უფროსებ თემ-თემისაო:	ელვა დგა ჩაჩქნებისაო;
„წასვლა გვი, არ გვეშველები,	კუკიას ჩამადიოდეს,
არ წასვლა არ იქნებისა?	ჭეჭა მახქონდა ცისაო;
არაგვი ჩამაამტვრიეს,	ქალაქს მიუვა ბატონსა
ქავ აღარ დაუდგებისა.	ჯოგი ლეგისა მგლისაო. (22, 51.)

საყურადღებოა, რომ მეომრები რუხ (ლეგა) მგლებთან არიან გაიგივებულნი, რაც სლავურ და თურქულ ტრადიციებში პოულობს ანალოგიებს. მიიჩნევენ, რომ რუსულ ფოლკლორში „რუხი მგლის“ ფრაზეოლოგიზმი თურქული სამყაროსაგან უნდა იყოს ნასესხები (29, 483-500). სლავურ მითოლოგიაში **«Волкодлак», «Волколак»** — ადამიანი-მაქცია ხასიათდება ზებუნებრივი შესაძლებლობით გადაიქცეს მგლად. ითვლებოდა, რომ გრძნეულებს შეეძლოთ საქორწილო მსვლელობათა წევრების მგლებად გადაქცევა. ასეთი არქაული წარმოდგენები დასტურდება, აგრეთვე, სხვა ინდოევროპულ კულტურებში, მაგალითად—ხეთურში. საქმროს მგლად „გადაქცევა“ დაკავშირებული იყო საცოლის გატაცებასთან. ზოგ რუსულ დიალექტში „ხელისმომკიდე“ სიძის მხრიდან აღინიშნება სიტყვა მგლით — **„Волк“** (35, 242-243).

სიტყვა „ლეგა“ არსებობს ბაცბურში (წოვა-თუმურში) (7, 84) და ამრიგად ტერმინი **ლეგა**, ალბათ, ვაინახურ ენობრივ სამყაროშიც ნახულობს პარალელებს. **ლეგა მგლის** გამოთქმა გვაქვს მეორე ქართულ ხალხურ ლექსში „სჩივიან თუმის შვილები“.

მამადიმ მაისშვილმა	„ფერ ვიღოთ ლეგა მგლისაო,
ყმაწვილმ დასცადა თავიო,	სასაცილოთაც გვიგდებენ
ამხანაგთ უუბნებოდა:	ჩაღმ-გომეწრელთა ყმანიო“ (16, 160).

სიტყვა „ლეგა“ ქართველ მთიელებში ადამიანის სახელადაც გამოიყენება, რაც უთუოდ ამ სიტყვის დაფარულ მითოლოგიურ მნიშვნელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვყავს მაგალითები:

ლეგასა და ქიტესასა
არ ამბობენ ქრისტიანსა“ (21, 82).

მიგრულ ლეგას მოვკლავ,
წოწკურაულს მოკლიასა (21, 88).

მნიშვნელოვანია, რომ მეომრული სულისკვეთება პრინციპების შენარჩუნებასთან, დაუმორჩილებლობასთან, უდრეკელობასთან, პიროვნულ სიმტკიცესთან, ზეგავლენის მიუღებლობასთან არის დაკავშირებული, რაც მეომრის, ისევე როგორც მგლისა და არწივის დაუმოკიდებლობაში გამოიხატება. ასეთი იდენტიფიკაცია თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგ ხალხურ ლექსში:

კაი ყმა, მგელი, არწივი,	მგელი გაივლის მთაზედა,
არც ერთ არ გაიწურთნება;	ნამგაბერტყილი დარჩება.
მგელი არ მოშლის მგლობასა,	დაიხუილებს არწივი,
კაი ყმა-მამაცობასა,	მთით ბარად ჩამოვარდება,
არწივი-არწივობასა,	დაიჭერს შუნის თიკანსა,
მთის ყურეს ნადირობასა.	ხორცი ძველადვე დარჩება (19, 21; 16, 94).

ისევე, როგორც ინდოევროპულ ტრადიციაში, „მგელთან“ არის დაკავშირებული მრავალი ქართული გვარი (მაგალითად „მგელაძე“, „გელაძე“, „გელავა“) და სახელი (მგელიკა). იგივეს ადასტურებს ფოლკლორიც:

აკუშოს მგელაის შვილნო,	ჰმალს ნუ სტეხ მგელათ სუმბატავ,
დედა ვაცხოვნე თქვენიო (22, 82).	ნაცად არ გეკარგებისა,
-----	ბაბუა მგელაიშვილი (17, 250).

აბეჩავ, მგელიკას შვილო,
მუ ჳლნ შენაც გქონდენ მგლისანი (17, 56).

ქართულ კულტურაში მეომრული სულისკვეთება მგლებთან გაიგივებით აღინიშნება. „მგელი“ ძლიერ, ენერგიულ, შემტევ, დაუნდობელ არსებად მიიჩნევა. ეს კარგად ჩანს შემდეგი ხალხური ლექსებიდან:

ბატონო, ოდომც ნუ მომკლავ,	ვეფხვივით მეომარნია,
თათრებს გავჟღელტ მგელივითა,	მგელივით ეტანებიან,
ძილს გავუფრთხოვ, შევეჭრები,	შტიკებს გააქვის ჩქამია (22, 185).
კუდს მოუქნევ მელივითა (22, 58).	-----

-----	მგელივით ველზე გასულსა
ომობენ კავკასიელნი,	მიძევს რაზმელთა ჯარები,
მთა და ბარს შეზღვეს ზარია,	მიაც ასნაირ ხერხითა
მტერს მიხეყებიან კვალზედა,	ასნაირ დავემალები.
მკვდარზე შეყარეს მკვდარია,	ხელთ და თვალთშუა უძრები,
უკენ არ იწევს ლაშქარი,	რჩებიან ხახამშრალები.
ქართველთ ვაჟების ჯარია,	ვერ დაიჭერენ ხევსურსა
გვერდს უდგან მთისა არწივნი,	დამჭერებ თქვენისთანები! (19, 121).

ადამიანის თავდაუქერლობა, თავაწყვეტილობა გაიგივდება აგრეთვე, მგლის ქცევასთან:

ამ დროს გურიელი,	ბევრსა სცემა, ბევრი მოკლა,
მებრძოლ მუშებს დაერია,	მიმოფანტა მშრომელთ კრება
ყველას კბენდა როგორც მგელი.	(22, 136).

მგლის უშრეტი ენერგიულობა, დაუღლელობა არა მხოლოდ მებრძოლურ სულისკვეთებაში გამოიხატება, არამედ, აგრეთვე განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობაში:

...დავლოცოთ ყველას მარჯვენა	დავგმოთ, დავძრახოვდ ისინი,
ვინც შრომაშია მგელია,	ვინც ჩვენი შრომის მტერია (23, 206).

აგრესიულობა, დაჟინებულობის უძლიერესი ტენდენცია, რომელიც უმარტივეს, საწყის, დაუხვეწელ, „ბუნებრივ“ მამაკაცურ მიდრეკილება-თვისებას შეესატყვისება, ხშირად გამოიხატება ადამიანის მგელთან შედარებით. მოგვყავს შესაფერისი მაგალითები:

ეხვეწება მურღაშვილი	ბასილი და მურღაშვილი,
– დამპატიჯე ხინკალზედა!	გიყურებენ მგლის თვალზედა,

– არა, დავით გენაცვალოს, თუ სად გაგიმარტოხელეს,
თავადა ვარ იმტაზედა, შაგაჭრიან ხმლის ფხაზედა (23, 207).

მგლის მაგვარი ბრძოლისუნარიანობა ქართულ ფოლკლორში ხშირად **მგლის ფერის** მიღებასთან არის დაკავშირებული:

მაშინ გულს ხკითხა ოშკაცმა; ორ-სამ უნცროსიც მინდაო
დღე გამითენდა ცდისაო“. აიკრა ჯელი ხანჯარზედ,
ჯელი დაიკრა ხანჯარსა, ფერი დაიდვა მგლისაო,
ფერი დაიდვა მგლისაო (22, 172). უნადრიკს ჩამოუქნივა,
ნათოს ჩამოდის მჭრისაო (22, 170).

მეომრის, ვაჟკაცის ამტანიანობა, გამძლეობა ქართულ ხალხურ პოეზიაში არცთუ იშვიათად მგლის გამძლეობასთან არის გაიგივებული, რაც ისეთი ფრაზეოლოგიზმით გამოიხატება, როგორიცაა **მგლის მუხლი**:

ამანდით გამაბრუნვილმა
მუჯლი მაიბა მგლისაო (22, 197).

როგორც ჩანს, **მგლის მუხლი** გაიგებულია მგლის აქტიურობასთან, შეუდრეკელობასთან, გამბედაობასთან, სიყოჩაღესთან, უკიდურესად რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნის შესაძლებლობასთან. **მგლის მუხლის** ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ქვემოთ მოყვანილი ბრწყინვალე ლექსითაც დასტურდება.

ჩაგვიძელ, ბერო მინდიაჲ, კაცია–გულად მამაცი,
მუხლი მაიბი მგლისაო, ქვასაც კი ხელით სთლისაო.
თან ჩაგვიყოლე სწორები, გულად მამაცსა ვაჟკაცსა
ვისაც თავი აქვს ცდისაო. ვერვინ დასწამებს ცილსაო,
შიში არ არის მტრისაგან, მტერს დაუხვდება მამაცად,
ლოცვაა სამებისაო, გულს მისცემს ამხანაგსაო.
ნუ ეხუმრებით მინდიას, ჩაგვიძელ! ჩავყვეთ ყველანი
მთების არწივის შვილსაო. ასეთ გულითად მგზავრსაო (17, 32).

საბრძოლო განწყობილების გამომხატველია სიქველე, მოხერხებულობა, სიმამაცე, მეომრული შემართება, რომელიც ქართულ პოეტურ ფოლკლორში მგლისათვის დამახასიათებელ ქცევასთან არის გაიგივებული:

ვინამც სთქვა, ენამც გაჰხმება სიახლე, ხელთა სჭერია,
„წოწრეს პაპაი ბერია“, ცხენზე შეჯდებ-ორსა ჰგავ,
ბერია, არცრა ბერია, დაუქვეითებს–მგელია“ (16, 92).
გამოთქმა „მშიერი მგელი“ მჭრელ, გალესილ ხმალთან იგივდება:
„მთიულო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდის მოგიშავდება;

ანდა:

ხმალი მშიერი მგელია (16, 67).

მგლის ქცევა პრინციპულობასა და გაუტეხლობას აღნიშნავს, რაც შეესაბამება ინდოევროპულ ტრადიციას. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოგვყავს კიდევ ერთი ბრწყინვალე ქართული ხალხური ლექსი:

არცარას მოჯაბრეს ვაძლეჲ, მგელი არ იცარცვების:“
ვერცარას მტერი მრჩების, რაც არა სცვავ ტანზედა,
ძველთაგან მოდის თქმულება; არც-არა გაეხდებისა (23, 127).

მგელი სიჯანსაღესთან, სიმწიფესთან, ენერგიით სისავსესთან გაიგივდება

ჩემს წაწალს რამ რა ჩაუხსნა

წითელ თვალნი მგელივითა (23, 174).

საყურადღებოა მგლის კულტის ასახვა მეტყველებაში. მაგალითად, მეგრულში დადასტურებულია „ბა“ პრეფიქსიანი სიტყვა – „ბა-თურ-ა“ (ბათურას)–ძაღლის მსუქან ლეკვს, თამამის მოყვარულს, გადატანით მსუქანს, ბუთხუზას (ბავშვი) ნიშნავს (8, 213).

ამავე დროს გვხვდება „ბა“ პრეფიქსის გარეშე სიტყვა–თურ-ი (თურს), რაც მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომის, მოდგმის წარმომადგენელს აღნიშნავს (9, 67). ლაზურში „თირი“ (მთირი) – სიმამრია, ხოლო „მთირე“–დედამთილი, „დამთირე“–სიდედრი. (33, 138-167).

ამრიგად, სიტყვები „ბათურა“ და „თური“ არა მხოლოდ ფონეტიკურად უკავშირდებათ ერთმანეთს, არამედ ეტიმოლოგიურადაც. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ შემდეგ ჰიპოთეზას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძველი ინდოევროპული ტრადიცია და მითოლოგია ხშირად აიგივებს ადამიანებსა და ძაღლებს. მგლისა და ძაღლის ერთ ხატში გაერთიანება არც ძველი ქართველური ტრადიციისათვის იყო უცხო. მაგალითად, სვანური რწმენა-წარმოდგენით ძაღლები და მგლები ღმერთების „ძაღლ-მგლებთან“ იგივდებიან (2, 15-153). შესაძლებელია, რომ „მგლის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ ქართველურში ტაბუირება იმიტომ განიცადა, რომ ტოტემურ ცხოველთან დაკავშირებული ნათესაობის აღნიშვნა უნდა შეცვლილიყო უბრალოდ ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით, რისი განხორციელებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ტოტემური მგლის სახელწოდება (ამ შემთხვევაში ჩვენი ვარაუდით „თური“- თირი) შეიცვლებოდა. ქართველურ ენებში კი ამჟამად ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში შემორჩენილი „მგლის“ აღმნიშვნელი უძველესი, პირვანდელი ფუძე–„თურ“-ი, „თირი“ ასახულია შემდეგ სიტყვებში: მეგრული–„თურ-ი“–მოგვარე, „ბა-თურ-ა“–ძაღლის მსუქანი ლეკვი, „მუა-ნ-თილ-ი“ (მუა-ნ-თირ-ი)–მამამთილი, სიმამრი, ლაზური–„მ-თირ-ი“– მამამთილი, სამამრი, ქართულში–„მამა-მ-თილ-ი“. ლაზურში პირველად ნ.მარის მიერ დადასტურებული „ანდერი“, რომელიც ოხერს, უპატრონოს ნიშნავს (33, 126), ლაზურის განმარტებით ლექსიკონში „ანტერი“-ს სახით არის წარმოდგენილი (40, 3). მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა „ანტერი“ აბსოლუტურად იგივე მნიშვნელობით დადასტურებულია აჭარულ დიალექტში (6, 89) და ის ლაზურიდან ნასესხები უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვაც მგლის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან აქაც გამოიყოფა ჰიპოთეზურად მგლის ქართველური სახელწოდების პირვანდელი ფორმანტი „ტერ“ (თერ), რაც „თურ“-„თირ“-ის ვარიანტებად გვაქვს წარმოდგენილი. შეიძლება, „ანტერი“ უკავშირდება მითოლოგიურ ღვთაება (მგლის კულტის ამსახველ) „ანთარ“-ს. სავარაუდოდ, იმის შემდეგ, როდესაც ქართველურ კულტურაში მგლის კულტმა დაკარგა თავისი ღირებულება, ზოგიერთმა მასთან დაკავშირებულმა სიტყვამ, მაგალითად, „ანტერმა“ უარყოფითი ელფერი შეიძინა. „მგლის“ ძველ სახელწოდებას უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „ტურ-ა“ც (ლაზურად „თურა“), როგორც ეს არის ინდოევროპულ ტრადიციაში (28, 513).

საყურადღებოა, რომ „შუამთობის“ ხალხური დღესასწაულის ერთ-ერთ მონაწილეს „შემთვრი“ ეწოდებოდა. ხომ არ არის ეს სიტყვა მეგრულ-ლაზურ „თურ“-თან (სისხლით ნათესავი) და აქედან მგლის კულტთან და მგლის ტოტემთან დაკავშირებული? რ.მაღაყმაძის მოსაზრებით, შუამთობის დღესასწაულზე დამკვიდრებული წესით ხდებოდა საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიჟება –გადაპატიჟება ნათესავებს შორის (11, 125). ასეთი ტრადიცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის მითოლოგიურად შეუძლების ტრადიციის ანარეკლი უნდა იყოს, ხოლო ასეთი ჩვეულება შეიძლება დაკავშირებული იყოს წინასწარ დანიშვნასთან, „დანახვასთან“, მოტაცებასთან და ასე შემდეგ. მაგრამ თუ ჩვენ მგლის კულტს დაუკავშირებთ შუამთობის დღესასწაულს, მაშინ „მგლის ქვევასთან“ უფრო შესატყვისი „მოტაცება“ იქნება. ზ.თანდილაძე წერს, რომ „ყველგან, სადაც შუამთობა იციან, მტკიცეაა დაცული ამ დღესასწაულზე საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიჟების წესი... გასამგზავრებლად დათქმულ დღეს სასიძოს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს მიჰგვრიდა მოკაზმულ ცხენებს... ცხენებს მოჰგვრიდა მაზლი ან, უკეთეს შემთხვევაში, სამამამთილო,... სასიძოს მხარე ვალდებული იყო, საპატარძლო და მისი ნათესავ-ახლობლები წაეყვანა იმ იაილამდე, სადაც თავისიანები იმყოფებოდნენ... შუამთობის დღესასწაულზე საპატარძლოს მიპატიჟება–წაყვანის ძირითადი მომენტები,–დედოფლისა და მხლებლებისათვის ცხენების მიგვრა,

მამამთილის თუ მამულის გაძღოლა ქვეითად, – საქორწილო ჩვეულებას ემსგავსება და, ერთი შეხედვით, შეიძლება, იგი ქორწილის ინსცენირებად მივიჩნიოთ, მაგრამ თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალები ამის მტკიცებისათვის საკმარისი არ არის. მთქმელ-ინფორმატორები დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ შუამთობაზე ქორწილი არ ტარდებოდა“ (5, 20). აქ საყურადღებოა ზ.თანდილაძის მოსაზრება, რომ შუამთობაზე ქორწილის ინსცენირებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შუამთობის დღესასწაულზე იმიტომაც არ ტარდებოდა ქორწილი, რომ ის ქორწილის ინსცენირება კი არა, არამედ **პატარძლის მოტაცების იმიტაცია–ინსცენირება** უნდა ყოფილიყო. პატარძლის მოტაცება კი სავსებით შეესატყვისება მგლის კულტის მითოლოგიურ ფუნქციებს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგად არის დადასტურებული ინდოევროპულ ტრადიციაში.

ვს. მილერის ცნობით, **“თუთირი”**–„მგელთა მფარველი და მბრძანებელი სულის სახელია“ (12, გვ. 121). აღნიშნავენ, რომ ოსების მრავალი ღვთაება დაკავშირებულია მეცხოველეობასთან და მონადირეობასთან. **“თუთირ”**-ს თხოვდნენ ოსები საკუთარი ჯოგების დაცვას მგლებისაგან. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი მზადდებოდა **„თუთირი“**-ს დღესასწაულისათვის, რომელიც დიდმარხვის პირველ კვირაში ტარდებოდა და რომელიც მგლების მფარველად იყო წარმოდგენილი. სათესლე მასალა აგრეთვე ამ პერიოდში შეირჩეოდა, რაც ამ დღესასწაულს აგრარულ კულტთან აკავშირებს (36, 333). ამ ღვთაებასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი ქართველური ღვთაება **„ანატორი“**-ს შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ი.ჯავახიშვილი. ის წერს, რომ ხევსურები თავყანსა სცემენ ერთ ღვთაებას, რომელსაც **„ანატორი“** ჰქვია. არ არსებობს რაიმე ცნობა ამ ღვთაების ფუნქციების შესახებ ხევსურეთში. ამის გამორკვევისათვის საყურადღებოა ერთი ჩვეულება, რომელიც შენახულია სამეგრელოში. დიდმარხვის წინა დღეს მეგრელები იხსენებდნენ ხოლმე ერთ ღვთაებას, რომელსაც **„ჟინი ანთარი“**, ზენა ანთარი ეწოდება. დილაადრიან სიმინდის ფქვილის ნაფუვარს დიდს ოთხკუთხ კვარს ამზადებდნენ და ვახშამად კერაზე აცხობენ, რომელსაც სახლის უფროსი მერმე რამდენიმე ოთხკუთხ ნაჭრად ჰყოფს და თანაც შემდეგ ლოცვას წარმოთქვამს ხოლმე: **„ჟინი ანთარი, პატენი გომორძგვილი! ჩქიმი სი ამიშინი“** და სხვას. ესე იგი **„ზენა (ზეციური) ანთარი, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი (საუნჯე) შენ მომიშენე“**-ო და სხვას. ვინც ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, იმას სწამდა, რომ მისი საქონელი და ყანები ზარალისაგან უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში.

ი.ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ მეგრული **„ანთარი“** და ხევსურების **„ანატორი“** ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელი შენახულია აფხაზურშიც, რომელიც გვხვდება **„აႭთარ“**-ის სახით. აფხაზების მითოლოგიაში ამ საქონლის ზედამხედველს პირველი ადგილი უჭირავს. **„აႭთარ“-ი** შეიძლება წარმომდგარიყო **„ანთარი“**-საგან თვით მეგრულ ნიადაგზედაც, სადაც **„ნ“** ჯერ **„ლ“**-დ ქცეულა, ხოლო შემდეგ **„ლ“**-ასი **„აႭ“-**დ გარდაიქმნა. სიტყვა **„აႭთარ“-ი** შინაური საქონლისა და მოსახლეობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. სწორად მას ევდრებოდა ყოველი, რომელსაც უნდოდა, რომ მისი საქონელი გამრავლებულიყო, და ნადირს არ გაეფუჭებინა. აქედან ჩანს, რომ **„ანთარ“-**საც სწორედ ამგვარი ევდრებით შეჰღალადავს მეგრელი მეურნე, როცა უნდა, მოუშენდეს და გაუმრავლდეს საქონელი. ამ ღვთაების უძველეს და სრულ სახელად ი.ჯავახიშვილს მიაჩნია **„ანატორი“**, რომელიც აგებულების მიხედვით რთული, ორნაწილედ, სიტყვა უნდა იყოს და შედგებოდეს **„ანა“** და **„ტორ“-**საგან (27, 122-124). მეგრულ-ქართული ლექსიკონი ასე განმარტავს სიტყვა **„ანთარ“-**ს: **„ანთარ-ი (ანთარს)** კოლხურ მითოსში მეცხოველეობის მთავარი ღმერთი (8, 187). იგივე ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს **„ჟინი ანთარ“-**ზეციური ანთარი,–საქონლის მფარველი ღვთაება (9, 500).

ვფიქრობთ, რომ აქ მგლის კულტის ამსახველ ღვთაებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან, უპირველეს ყოვლისა, შინაურ ცხოველს ზუსტად მგლები აყენებდნენ უდიდეს ზიანს და ამიტომ ადამიანებისადმი მგლის დადებითად განწყობისათვის, ბუნებრივია,

საჭირო იყო მგლის „გულის მოგება“, მისი სიამოვნება. ცნობილია, რომ „სვანების რწმენით, მგლებს ჰქონდათ ადამიანის სასიკეთო მაგიური თვისებები; საერთოდ მგლები ყოველნაირად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ ადამიანებს. სწორად ამით ხსნიდნენ სვანები, რომ მგლის კბილის ავგაროში მავნე სულებისა და ავი თვალისაგან ფარავდა, ხოლო მგლის ხორცისა თუ ქონის შეჭმა, მისი ხორცისა და ძვლების ნახარშით შემზადებული სასმელით „ზიარება“ ადამიანს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან გადაარჩენდა“ (2, 149). ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ თვითონ სიტყვა „ანთარი“ შეიძლება მართლაც ორ ნაწილად დაიყოს – „ან“ და „თარ“-ი. აქედან „ან“ ჩვეულებრივი პრეფექსია, რომელიც ზანურისათვის და განსაკუთრებით ლაზურისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო „თარ“-ი აგრეთვე ზანურისათვის (მეგრულისათვის) დამახასიათებელი სიტყვა „თური“-ს ვარიანტი უნდა იყოს, რომელიც ამჟამად, როგორც ვიცით, მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომისა და მოდგმის წარმომადგენელს ნიშნავს (9, 67). ეს სიტყვა („თური“) კი, ჩვენი ჰიპოთეზით, უკავშირდება უძველეს, ჩვენ მიერ აღდგენილ ქართველურ სიტყვას „თურ“(თარ)-ს, რომელიც „მგელს“ აღნიშნავდა და მოგვიანებით იქნა ტაბუირებული და ამოღებული ხმარებიდან. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ძველ თურქულ ენებში „ტრ“ თანხმოვნების შეთავსებას, როგორც წესი აქვს გარკვეული სემანტიკა. ის დაკავშირებულია კანონიერის, პრესტიჟულის, სისხლით ნათესაურის ცნებებთან (39). ამდგომარად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ჩვენი ვარაუდი ქართველურ-თურქული პარალელების შესახებ საკმაოდ საფუძვლიანია, გამოვლენილი ანალოგიები სისტემურ ხასიათს ატარებენ და ამიტომ წამოყენებული ჰიპოთეზა იმსახურებს ყურადღებას, თუმცა ქართველური და თურქული ცივილიზაციების დამორებულიობა ძველ დროში გარკვეულ წინაღობას ქმნის ამ ჰიპოთეზის სრულყოფილად აღსაქმელად.

შუამთობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტერმინები—**თივრობა||თევრობა**, **შუამთობა||შუამთევრობა**, **მემთევრი**, **ნამთივრი**, **მთური** (15,16-24) „თურ“-ს უკავშირდება. აქედან შესაძლებელია შუამთობის დღესასწაულის მგლის კულტის დღესასწაულთან იდენტიფიცირება. ამას ადასტურებს ცხოველთა ტყავების ტანზე მოსხმა, მსხვერპლშეწირვა, წმინდა ადგილების მონახულება, შეჯიბრება და ცეკვებში მხედრული ელემენტები (5, 16-30). ამავე დროს შუამთობის ხალხური დღესასწაული ჰიპოთეზურად შეიძლება არა უბრალოდ „ანატორის“, „თუთირის“, „ანთარისა“ თუ „ანთარის“ ღვთაებებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, არამედ სპეციფიკური ხასიათის რიტუალია, რომელიც თეატრალიზებული სახით გადმოსცემდა მგლის მითოლოგიურ ფუნქციას **საცოლის გატაცების** თვალსაზრისით, როდესაც სიძე და მისიანები მგლების მითოსური როლის (იძულებით გატაცება ისევე, როგორც მგელი იტაცებს ცხვარს) შემსრულებლებად გვევლინებიან. აქ ყურადღებას იპყრობს ის თავისებურება, თუ როგორ ტარდება შუამთობის დღესასწაული: დღესასწაულის წინა დღეებში ქალები მამაკაცების თანხლებით მიდიან დღესასწაულზე, რომლის მონაწილეები მემთევრები არიან. ტერმინი მემთევრე ჩვენი ვარაუდის მიხედვით, შეიცავს **თურ**, **თირ** ფორმანტებს და მგლის ტაბუირებულ სახელწოდებას ძირითად ფორმანტ **თურ**, **თირ**-თან შეიძლება იქნენ გაიგივებულნი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **მემთევრები** მითოსურ გამტაცებლებთან იგივედებიან. აქ გარკვეულ როლს ასრულებს **მამამთილი**. ამ სიტყვის ფორმანტი **მთილი** იგივე უნდა იყოს, რაც ლაზური **მთირე** (დედამთილი) (33, 138-146), რომელიც თავის მხრივ **მგლის** სავარაუდო სახელწოდება **თურ**-ს უკავშირდება. თუ მითოლოგიურად სიძის (სიმბოლური „მგელი“) მხარე მგლებთან არის გაიგივებული, მაშინ სიძის მამა, მომავალი **მამამთილი**, რა თქმა უნდა „**მამამგელი**“ ანუ „**მამამთილი**“ იქნება, ხოლო სიძის (**მგელი**) დედა კი „**დედამგელი**“ ან „**დედამთილი**“. საყურადღებოა, რომ ქართულში ფორმანტი **მთილი** (**მთირი**) მხოლოდ სიძის მხრივ მშობლის აღსანიშნავად გამოიყენება, რაც მითოლოგიურად სიძის მხარის მგლის კულტისადმი უფრო მეტი დაქვემდებარების აღნიშვნის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, თუმცა ლაზურში სიდედრი

(**დამთირე**) და სიამამრი (**თირი, მთირი**) (33, 138-146) შეიცავენ **თირ** ფორმანტს აგრეთვე; ეს ნიშნავს, რომ საერთოდ მგლის კულტი მეუღლეების ნათესავების ორივე მხარისათვის მისაღები იყო. ხშირად ამგვარი დღესასწაულის კულმინაციურ ნაწილს წარმოადგენს წარმოსახული ქორწილი; მაგალითად, აჭარაში გავრცელებული რიტუალის— „ფადიკოს“ დროს (5, 30). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ვარაუდის საფუძვლიანობას.

მიუთითებენ (34, 333-346), რომ უძველეს პერიოდში ადამიანთა ერთიანობის განცდა კონკრეტულ ცხოველს დაუკავშირდა. წარმოიშვა რწმენა, რომ ადამიანთა ერთობა და მასთან დაკავშირებული ცხოველი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ამგვარად წარმოიშვა ტოტემიზმი (34, 333), როდესაც ასეთი ცხოველი ადამიანთა ერთობისა და ერთობის ყველა წევრის ტოტემი ანუ პირვანდელი კულტი იყო. ტოტემთან ერთიანობა კი ადამიანთა „ნათესაობასთან“ იქნა გაიგივებული, რომლებიც ერთ „სისხლსა და ერთ ხორცს“ წარმოადგენდნენ.

ჩვენი ჰიპოთეზა კანონზომიერად გამომდინარეობს არსებული მონაცემებიდან და ქართველურში ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა ნაწილი ნამდვილად შეიძლება უკავშირდებოდეს მგლის კულტს. ძველთურქულ ენებში „**ტრ**“ აღნიშნავს სისხლით ნათესავებს, ისევე როგორც მეგრულში „**თური**“ მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომის, მოდგმის წარმომადგენელს ნიშნავს (9, 67). მიუხედავად ამისა, თურქების ეთნონიმს მაინც ვერ ხსნიან თურქული ენის საფუძველზე. ამავე დროს, მნიშვნელობითა და ფონეტიკური ჟღერადობით ჩვენს მიერ აღდგენილი საერთოქართველური მგლის სახელწოდება „**თური**“ („**თირი**“) ახლოს დგას თურქების თვითწოდებასთან „**თურქი**“ და ორივე მითოსურად „**მგლის**“ კულტს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ მგლის აღსანიშნავად არც თანამედროვე და არც ძველთურქულში „**თურ**“ ძირის მქონე მგლის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს. ასე რომ, შეუძლებელია თურქების ამჟამინდელი სახელწოდება თურქული ენების საფუძველზე წარმოშობილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დ.ე., ერემევეის მოსაზრება, რომლის მიხედვით ეთნონიმი „**თურქი**“ ირანული წარმოშობისაა. მისი სიტყვებით ძველი ირანელების საღვთო წიგნი **ავესტა** აღწერს მომთაბარეების ნაწილს, რომლებიც შორს აღმოსავლეთით წავიდნენ და ცნობილი იყვნენ „**სწრაფი ცხენების მქონე თურების**“ სახელწოდებით. **ავესტა** გვიყვება ამ ტომზე, რომელიც თავს ესხმოდა ბინადარ ირანელებს, მათ წინამძღოლზე, მძლავრ **თურ-ზე**, ქვეყანა **თურანის** მფლობელზე. ისტორიკოსებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ **ავესტაში** მოხსენიებული **თურები** იგივეა, რაც სპარსული წყაროებით **საკები**, რომლებსაც ძველბერძნული წყაროები **სკვითებს** უწოდებენ. ერემევეის მიხედვით, **თურები** ირანულენოვნები იყვნენ. შემდგომში იქ, სადაც უწინ **თურები** ან ძველბერძნული წყაროებით **სკვითები** ცხოვრობდნენ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან უკვე **ჰუნები** ცხოვრობდნენ (მათი დიდი ნაწილი თურქულენოვანი იყო) და მათ შორის ირანულენოვანი **თურები** ასიმილირდნენ, თურქულ ენაზე გადავიდნენ, თუმცა შეინარჩუნეს ეთნონიმიო—წერს ერემევეი (39.).

ქართველურ-ინდოევროპული პარალელები, რომლებიც მგლის კულტთან არიან დაკავშირებული, არ იწვევენ ეჭვს, მაგრამ იმავე კულტთან დაკავშირებით, საფუძველი გვაქვს, ვისაუბროთ ქართველურ-თურქულ პარალელებზე, თუმცა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. არ არის გამორიცხული, რომ ირანულ საღვთო წიგნში — **ავესტაში** დასახელებული **თურები (იგივე სკვითები)** სულაც არ იყვნენ ირანულენოვნები, რადგან ჯერ კიდევ ნიკო მარი ცდილობდა, **სკვითური ენა** ქართველურის საფუძველზე აეხსნა (32, 207). საკითხის გასარკვევად უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ე.წ. **ნოსტრატული** ჰიპოთეზა (10, 335-338), რომლის მიხედვითაც ინდოევროპული, ალთაური, ურალური, დრავიდული, ქართველური და სემიტურ-ქამიტური ენები გარკვეულ ნათესაობაში არიან ერთმანეთთან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან დროშა „ლეგ“, მგელი-ძაღლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963.
3. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964.
4. თავდგირიძე ხ., აჭარული სამონადირო მითოსი, ბათუმი, 2004.
5. თანდილაშვილი ზ., შუამთობის ტრადიცია და ფოლკლორი, თბ., 1980.
6. ნიჭარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 171.
7. ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ., წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
8. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.
9. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
10. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
11. მაღაყმაძე რ., ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), დისერტაცია, ბათუმი, 2002.
12. შამილაძე ვ., ცნებისათვის „მთური მესაქონლეობა“—აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1967
13. შიოშვილი თ., ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994.
14. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ.I. ნაკვეთი I, თბ., 1972.
15. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ.I. ნაკვეთი II, თბ., 1973.
16. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ.II, თბ., 1974.
17. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ.IV, თბ., 1975.
18. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ.V, თბ., 1976.
19. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. VII, თბ., 1979.
20. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, თბ., 1979.
21. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, თბ., 1981.
22. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბ., 1984.
23. ჩიქოვანი ვ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თბ., 1980.
24. ჩიტაია გ., შრომები, ტ.IV, თბ., 2001.
25. ჩოლოყაშვილი რ., ცხოველთა ეპოსი, თბ., 2005.
26. ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, სსმმ, XVI, თბ., 1950.
27. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979.
28. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
29. Гордлевский В.А., Избранные сочинения, т.II. М., 1961.
30. Гумилев Л., Древние тюрки, М., 2004.
31. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
32. Марр Н., Избр. работы. т.V.М.-Л., 1935.
33. Марр Н., Грамматика Чанского (Лазского) языка, Спб., 1910.
34. Семенов Ю. И., Как возникло человечество, М., 1966.
35. Токарев С. А., Мифы народов мира, т. I, М., 1980.
36. Толстова С. П., (ред.), Народы Кавказа, т.I, М., 1960.
37. Фрэзер Д., Д. Золотая ветвь, М., 1983.
38. Чаганова Г., О некоторых картвело – тюркских параллелях культа волка, Археология, этнография и фольклористика Кавказа, Махачкала, 2007.
39. <http://kyrgyz.tsu.ru/>.
40. Feurstein W. Didi Nenapona, 2000

Guram Chaganava

Parallels of Wolf cult in Indo-European, Turkish and Kartvelian civilizations

Summary

The article submitted for consideration is dedicated to the problem of Wolf cult in Indo-European and Kartvelian civilizations. It is well known that there are a lot of different examples which confirmed the existence of parallels of Wolf cult in Kartvelian and Indo-European civilizations and there are suggested some new examples. Beside of it in the article is proposed the hypothesis that in compliance with the ancient tradition it is possible to prove that some Kartvelian terms of the kinship are connected with Wolf cult. In the article also is suggested Kartvelian and Turkish parallels about **Gray Wolf**. Great attention is devoted to hypothesis about the parallels between hypothetically restored Kartvelian name of a wolf **“TUR”** and the self – designation of Turks **“TYRK”**.

ლაზების წმინდა ტყე

სხვანაირად როგორ შეეძლო კლდიაშვილს მოქცეულიყო? საკუთარ ფესვებს, საკუთარ ერის ნაწილს - ლაზებს - როგორ შეაქცევდა ზურგს? როგორ არ გასწირავდა მათთვის თავს? მათთვის წმინდა ტყე, ცაცხვების კორომი, დავითისთვისაც წმინდა ტყე იქნებოდა და ხელშეუხებელი, შეუძლებელი იყო არ გამოსარჩლებოდა თვისტომთ. თუმცა მოდით ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. მაგრამ მანამდე მაინც ავღნიშნოთ: დავით კლდიაშვილზე როგორც მწერალზე ბუნებრივია არაფერს ვიტყვი ახლა და ისედაც ვიცით ყველამ ამ გენიოსის შემოქმედების თავისებურებებიცა და მიღწევებიც, ისედაც ქამუშაძის გაჭირვება და სამანიშვილის დედინაცვალის გვაქვს არქეტიპებად ვეფხისტყაოსნისა არ იყოს; არც ბათუმში ჩასვლისთანავე მის მონაწილეობაზე ვისაუბრებთ ადგილობრივ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში, მის თანამშრომლობაზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, არც ვოლსკისთან და მესხთან ერთად ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მის ღვაწლზე,- ეგ მეტწილად შესწავლილია და მის ბრწყინვალე ავტობიოგრაფიულ წიგნშიც „ჩემი ცხოვრების გზაზე“ დიდებულადაა აღწერილი. ამ სტატიაში ჩვენ სწორედ იმ ეპიზოდზე, ჭანების გამოსარჩლებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ეს ეპიზოდი კი მის სამხედრო მოღვაწეობის ხანას ეხება, რომელიც მაინც ჩრდილშია მოქცეული და დიდად ალბათ არც შეგვისწავლია, არადა გენიოსის ცხოვრება, ქართველი კლასიკოსის ცხოვრების ნებისმიერი ეპიზოდი ცალკე შესწავლასა და გაანალიზებას რომ მოითხოვს არავისგან გესწავლება. თუმცა, უშუალოდ სანამ იმ ეპიზოდს შევხებით მაინც გავიხსენოთ ძირითადი მომენტები მისი ბიოგრაფიიდან:

ქართულ ვიკიპედიაში დავით კლდიაშვილზე არის ასეთი ინფორმაცია:

„ხელმოკლე სამსონ კლდიაშვილმა გადაწყვიტა 9 წლის დავითი გაეგზავნა სამხედრო სასწავლებელში. 1872 წელს სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა კიევის სამხედრო გიმნაზიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1880) მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი დაასრულა (1882). ამავე წლიდან სამხედრო სამსახურში გააწესეს ბათუმში. დავით კლდიაშვილმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ბათუმში გაატარა (1882-1908 წწ.). 1905-1907 რევოლუციის შემდეგ, როგორც არაკეთილსამიუდო ვიცე-პოლკოვნიკი, აიძულეს გადამდგარიყო სამხედრო სამსახურიდან.

1905 წლიდან ჯერ ქუთაისში, მერე ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოში მუშაობდა. 1915 მობილიზაციით გაიწვიეს ოსმალეთის ფრონტზე. თურქეთში გადასახლებული ჭანების გამოსარჩლებისათვის მას სავსე სასამართლო მოელოდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუხსნო და კლდიაშვილი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, თუმცა უკვე ჯანგატეხილი და დაავადებული.“

რუსული ინერნეტში ოდნავ განსხვავებულადაა ერთი ეპიზოდი, უფრო სწორედ ორი:

პირველი- ყურადღებას ამახვილებენ იმაზე რომ „**მისივე აღიარებით, მან ”ხელახლა შეისწავლა ქართული“ (სამშობლოდან ხანგრძლივი მოშორების შემდეგ)!**

და მეორე:

„პირველ მსოფლიო ომში იგი სამსახურში დააბრუნეს და სამხედრო ოპერაციების კავკასიის თეატრში გაგზავნეს. იგი იბრძოდა თურქების წინააღმდეგ და პოლპოლკოვნიკის ხარისხში ავიდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დემობილიზებული იქნა და დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.“

მოკლედ რუსულ ვიკიპედიაში არაფერია ჭანების (ლაზების) გამოსარჩლებაზე.

ახლა კი ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდზე საუბარს შევუდგეთ, ოღონდ მოვჰყვით იმ დროიდან როდესაც დავითი პირველ მსოფლიო ომში გამოიძახეს. მწერალი აღნიშნავს რომ როგორც ჯერაც არაორმოცდათოტხმეტი წლისა გაიწვიეს და მიუხედავად ახლადნაავადმყოფარობისა ბუნებრივია წავიდა ჯარში და გაანაწილეს სენაკში:

„ ის იყო მძიმე ავადმყოფობა გამოვიარე, ისე რომ ჩემი ზეზე ადგომის იმედი ექიმებსაც დაკარგული ჰქონდათ. გამოვედი საავადმყოფოდან თუ არა, მესამე დღეს უწყება მომივიდა სამსახურში გამოვცხადებულიყავ. ვინიშნებოდი სათადარიგოთა დრუჟინის უფროსად, რომელიც უნდა შეკრებილიყო ახალ სენაკში. “

ჩავიდა სენაკში და როგორც მოსდგამდა წინაპართაგან მემგრად შეუდგა სამხედრო საქმეს, დრუჟინის მოწყობას. და აქ იწყება საინტერესო რამ, სრული არეულობა და ქაოსია ირგვლივ გამეფებული. ამას უკვე სამხედრო კაცი ვერ შეეგუებოდა: აცნობებს დეპეშით სამხედრო მეთაურებს რა დაბდურობაცა გამართული სამხედრო უწყებაში და როგორ ეშლება ხელი დრუჟინის მოწყობის საქმეში. აფრთხილებენ რომ სასტიკი სასჯელი ელოდება ამ ურჩობისთვის, ყველასგან მოულოდნელად კი ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს და დაუკმაყოფილეს. 1915 წელი დგას. მოაწყობს თავის შენაერთს თავის საკადრისად და სწორედ იმ დროს მოუსწრებს დიდებული აკაკის გარდაცვალების ამბავი, და მწერალიც გაჰყვება მატარებელს თბილისამდე პოეტის გასაცნობლად და აქ იხსენებს საოცარ ამბავს; ვაგონში, თავს ვიყრით ერთად: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და კიდეც რამდენიმეო, და მთელი გზა ვთათბირობდით შექმნილ სიტუაციაზე, პირველ მსოფლიო ომში საქართველოს სარგებელზე თუ უნუგებობაზე, მთელი ვაგონი გვისმენდა და „ეს იყო პირველი მშვიდობიანი თათბირი ჰარტიათა წარმომადგენლებისა მწვანე საკითხე - რა მოულის საქართველოს ომის შემდეგ, რისი იმედით და ვისი იმედით უნდა ყოფილიყო იგი“.

წარმოვიდგინოთ რა სჯა-ბაასი იქნებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებისა და ალბათ სწორედ ეს მუხტი გამოყვა კლდიაშვილს როდესაც ლაზისტანში ქართული პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.

“დავით კლდიაშვილი ლაზისტანშიც დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას, ესაუბრებოდა მათ ისტორიაზე, საქართველოზე. მისივე ინიციატივით, თბილისიდან საქველმოქმედო საზოგადოებამ ლაზებში სამუშაოდ გაგზავნა კონსტანტინე კობახიძე. მალე იქვე გამოჩნდა ცნობილი ეროვნული მოღვაწე და მკვლევარი იოსებ ყიფშიძე. მამულიშვილთა ამ სამუშაომა დიდი შრომა გასწია იქაური ლაზების გასათვითცნობიერებლად.”[1]

ბუნებრივია იმპერიის ჯარში სწორედ ქართულ საქმეს და იდეალებს ელამუნებოდა მწერალი, სწორედ რუსული ჯარის ეს ქართული ოფიცრობა შეიქმნა შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი ბურჟი და ვინ იცის „უსამშობლოთა“ იდეებს აყოლილ ქარაფშუტა ხელისუფლებას რომ არ შეეშალა ხელი შეენარჩუნებინა იქნებ კიდევაც ის თავისუფლება და ახლაც უფრო წელგამართული ვყოფილიყავით როგორც სახემწიფოებრიობის უფრო მეტი გამოცდილების მქონე ქვეყანა, მაგრამ ეს მართლაც შორს გაგვიტყუა სიტყვამ და ისევ „ყმასა წაყვეთ წამავალსა“, როგორც ღიადი შოთა იტყოდა და დაუბრუნდეთ კლდიაშვილს ვაგონში აკაკის ცხედარს რომ მიაცილებს თბილისისკენ.

დაკრძალვიდან სენაკში დაბრუნებულს მიუვიდა ბრძანება გამგზავრებულიყო თავისი ნაწილით ბათუმში გენერალ ლიხნოვის განკარგულებაში და იქიდან ართვინისკენ. ორ დღეში კი ბორჩხაშია უკვე სადაც ჭოროხს გადმოღმა ჯარების შტაბი იყო და მას გენერალი მილერი განაგებდა, რომელმაც უბრძანათ ღამითვე გამგზავრებულიყვნენ დისლოკაციის ადგილას, რომელსაც არ დაემორჩილა კლდიაშვილი რადგან ეს გამოიწვევდა დიდ დანაკლისს. ამ გენერალმაო, ამბობს მწერალი, საომარო მოქმედებებისაგან ეს უკვე მოსახლეობისგან მიტოვებული მხარე სრულიად იავარყო და გადაწვაო, ბათუმიდან ბორჩხამდე ზარბაზნებით ჩაიარაო, წერს.

„ ჩაყრებული, ჩადუმებული, გადამწყარი სოფლები. შეიხე-
დავდი დანგრევას და ცეცხლს გადარჩენილ სახლში; აყრი-
ლი იატაკი, მიღწეული კედლები, ყრია ძონძები, ტანისამო-
სის ნაფლეთები, ბევრგან დამტყრეული აკვნები, ეზოში კა-
რებჩამოგლეჯილი ბედლები, გარშემო მიბნეულ-მობნეული
სიძინდის მარცვალი, ლობიო; იქვე თუთუნის საშრობები, გა-
მოტანილი გასაშრობად ჩამოკიდებულ თუთუნის ფოთლე-
ბით. თუთუნი წაღებულია უამრავი, მაგრამ მაინც კიდევ ბევ-
რია დარჩენილი. არავითარი ჭაჭანება ადამიანის. “

მოგეხსენებათ ამ მოდამოებში ძირითადად ძირძველი ქართული მოსახლეობის
საცხოვრისები იყო ალბათ, წარმოიდგინეთ რა განწყობა ექნებოდა გენერალზე მწერალს.
ერთ კომიკურ სიტუაციასაც აღწერს კლდიაშვილი, თუ როგორ ამასხარავებდნენ
უფროსობას და ერთობიან:

„ შტაბი ძანსულში იყო, ჩაყარდნილ ადგილას.
გენერალი შფოთავდა, რომ ფანჯრებიდან სინათლე არ ყოფი-
ლიყო, მტერს არ დაენახა ჩვენი იქ ყოფნა, — ეს სამოცი
ვერსიდან. გენერლის ჯინაზე, მის გასახელებლად, ხან იქ,
ხან აქ ჩამოხსნიდნენ ხოლმე ფარდებს და ცოტა ხნით გაანა-
თებდნენ — გენერალი ირეოდა და არბენინებდა ჯარისკაცებს
სინათლე ჩაექროთ. ეს ერთგვარ გასართობ საგნად გადაგვექ-
ცა და ბავშვებოვით ვერთობოდით გენერლის გახელებით. “

როგორც ჩანს იმთავითვე არ ეჭაშნიკა თვისტომებზე გულშემატკივარი კლდიაშვილი
გენერალს და ლიახოვს მისი შენაერთის შემორება ჩაატარებინა მაგრამ ვერაფერი ვერ
უპოვეს წუნი და გადარჩა მაგრამ მალე ორი მისი ჯარისკაცი ინჟინერთან მუშაობისას ხის
ქვეშ მოჰყვა, ეს გამოიყენეს მიზეზად და თბილისში გამოისტუმრეს. ბუნებრივია ეს
მხოლოდ მიზეზი იყო, მთავარი სწორედ მისი განწყობა გახლდათ ადგილობრივ ლაზ
მოსახლეობასთან სიახლოვე, რომელიც არცერთი დამპყრობლის პოლიტიკაში არასოდეს
არ ჯდებოდა და არც ჩაჯდება. თუმცა აქაც გაუმართლა კლდიაშვილს:

„ . . . თბილისში გამგზავნეს. ჩემთვის ეს ცუ-
დი არ იყო, რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი ყოფილი დრუჟინა
ტრაპეზუნისკენ გადაისროლეს და ბაიბურთთან დრუჟინაც
ძლიერ მიღწეეს და მოჰკლეს ჩემი ნაცვალნი დრუჟინის უფ-
როსი, მისი ადიუტანტი და სხვა. ბედი მფარავდა, ალბათ. “

ასე რომ დიდხანს არ დატოვეს თბილისში, ლიახოვმა გამოიძახა და ბათუმი ტრაპიზონის
ხაზზე პირონიტის კომენდანტად დანიშნა.

„ პირონიტი ლაზისტანშია,
ხოვას გადაღმა, ბათუმიდან ოთხმოცი ვერსის სიშორეზე,
პატარა სოფელი, მშვენიერი მდებარეობა. სანამ პირონიტში
ჩავიდოდი, უნდა გამოცხადებოდა ჩვენი ზაზის გენერალს,
რომელიც რიზეში იმყოფებოდა; გვარად იგი პოპოვი იყო; ეს
გენერალი დაურიდებელი მძარცველი აღმოჩნდა. საქმე იმ
ზომამდე მიიყვანა, რომ ერთ დღეს ლიახოვმა მისი სახლი
გააჩხრეკა და ბრძანებაში შეუბრალებლად გამოამხეურა
მისი მძარცველობის ამბავი. “

ერთხან კვლავ იავადმყოფა და კვლავ დაუბრუნდა შემდეგ სამსახურს. შეიძლება ბევრი
ციტატები მომყავს მაგრამ ამ ამბავს კლდიაშვილზე უკეთ ვერავინ გადმოსცემს და
ამიტომაც მომიტყევთ, თან, ისედაც არ გვაწყენს მისი ნაწარმოების გახსენება:

წელიწად-ნახევარი დაეყავი პირონიტში. აქ აუარებელი ჩვენებურობა იყო — მუშა ხალხი გზების გაყვანაზე მომუშავენი; აქვე იყვნენ წვრილი ვაჭრებიც. მოკლე ხანში ადგილობრივი მცხოვრებნიც გავიცანი — აქაური ლაზები.

მახსოვდა ზაქარია ჭიჭინაძისაგან გაზეთში მოთვსებული ცნობა, რომ სოფელ აბუსილაში განზრახვა ჰქონებოდათ მცხოვრებლებს ქართული სკოლა დაეარსებინათ და ამას მეთაურობდა აბუსილელი მცხოვრები ჰასან ჰუსეინ აშვი-ოღლი. მოვიკითხე ჩემს ნაცნობ ლაზებში ეს აშვი-ოღლი, მითხრეს, არის ამისთანაო და შემპირდნენ მოგიყვანთო.

ერთ დღეს მაცნობეს, რომ თქვენგან დაბარებული კაცია აბუსილადანო. ვუთხარი შემოვეყანათ.

შემოვიდა შუახნის, ლაზურად გამოწყობილი, მოკლე წვერიო, სასიამოვნო სახის კაცი. ეს იყო ჰასან ჰუსეინ აშვი-ოღლი.

— დაბრძანდით! ქართული თუ იცით?

არ ცოდნია.

ბედად ჩემთან იმ დროს იყო მეგრულის მცოდნე პირი და თარჯიმნად დაეყენე. ჩემმა სტუმარმა მიაშბო, რომ მართლაც მათ, აბუსილელებმა, გადაწყვიტეს ქართული სკოლის გახსნა, ქართულის სწავლა, რადგან ქართველები ვართო, ვიცითო. შეუგროვებოდათ შვიდასი მანეთი და სტამბოლში გაუგზავნიდათ კაცი, რომ ნებართვა აეღო სკოლის გახსნელად; საქმე ახლა შეფერხდა, რადგან ომი ატყდაო და ამისათვის აღარავის სცალიაო.

აქ ავტორს რომ უსმენ, ისეა ადფრთოვანებული მაშინდელი მდგომარეობით ლაზეთში რომ შეუძლებელია უემოციოდ წაიკითხოო მისი მოგონებები, აქ ისეთი ქართულის მცოდნეებს შეხვდებით რომ გაოცდებითო:

„... ჩემი

ბინის მახლობლად ცხოვრობდა მოხუცებული ვინმე მუსტაფა ბექირ-ოღლი; იგი ამბობდა, რომ ნამდვილი მისი გვარი ბექირ-ოღლი კი არ არის — ჩხეიძეაო. მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა. “

მაგრამ ბუნებრივია მარტო მოსმენით არ შემოიფარგლებოდა კლდიაშვილი, აშკარად მოჰყვებოდა მას იმ დღეს ვაგონშო გამართული თათბირის მუხტი, ის საქმის კაცი იყო, მარუშიძისეული სულის მემკვიდრე:

ბათუმში ჩასვლისას მოველაპარაკე საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ მოველოთ ლაზისტანის სოფლები და საზოგადოების თბილისელმა მთავარმა გამგეობამ კიდევ გამოგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულება. კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიდი-მოდიოდა სოფლებში. დიდად კმაყოფილი ბრუნდებოდა ხოლმე იგი და აღტაცებით ჰყვებოდა ლაზებთან ნალაპარაკების შესახებ. ზოგ სოფელში ასეთ რამესაც ჰქონია ადგილი: სახლში, სადაც კრება იყო, შუაზე ჩამოკიდებდნენ საფარებლებს, რომ ქალებსაც, საფარებელს ამოფარებულთ მისცემოდათ საშუალება, მოესმინათ კობახიძის სიტყვა. კობახიძე უყვებოდა, თუ ვინ იყვნენ ლაზები, აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში.

ამასობაში ყიფშიძე ჩამოვიდა პირონიტში და ახლა მასთან ერთად გააგრძელა წმინდა ქართული საქმე ოფიცერმა;

» - - - გამოგატანიე მაგიდა, დაგაჯინე იოსები, შემოუსხდნენ ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკაუების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ პირონიტელები ასე ზმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციანო, ვიწები ასე ამბობენო, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენო. — თავშეყრილი ხალხი ისე დააინტერესა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო: — გატაცებული მეცნიერი ამოძრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შეეჯინე ცხენზე, გაყოლე კაცი და გაუგზავნე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად; თან წერილი გაუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კელენჯოდელებს და ომერიაზაკ-ოდლის, რომ ზედიზე შეეწყობოთ იოსებისათვის. ხოფაში და მის მიდამოებში ყიფშიძე ერთი კვირა დარჩა, გაფაციცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მცხოვრებლებში. «

აღბათ ასეთი ქართველების ძალისხმევის ნაყოფიც იყო თურქეთში ისეთი დიდებული მომღერალის შემოქმედება როგორიც **ქაზიმ ქოიუნჯუ იყო**, შეუძლებელია კლდიაშვილის თავგამოდებას ნაყოფი არ მოეცა თუნდაც საუკუნის შემდეგ.

საკმადად კარგად მიდიოდა თითქმის ყველაფერი მაგრამ სწორედ ამ დროს შეუდგნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ინჯინერი, პოლკოვნიკი ვერდერევსკი ბათუმი-ტრაპიზონის რკინიგზის გაყვანას, ყოვლად უაზროდ, ზღვის გასწვრის ალესილი კლდეების კვალდაკვალ. გიჟების გეგმას უწოდებს მწერალი ამ სქამიანობას, უაზრო წამოწყებას, თუმცა მას სხვა სადარდელი უფრო ჰქონდა: ლაზების წმინდა წყე, ცაცხვების კორომი ზღვის პირას, სადაც მან სამხედროები ჩააყენა დაცვად არავინ გაჩეხოსო-რკინიგზას კი, ნიკოლოზის გეგმით ზღვისპირას უნდა გაეკლო სწორედაც:

» სწორედბოდა ყველგან სწორი ადგილები, იჭრებოდა ასწლოვანი ხეები, ინგრეოდა სახლები სულ ტყუილუბრალოდ. პირონიტში დარაჯები მყავდა დაყენებული, რომ ზელი არ ეხლოთ იმ მშენიერი ცაცხვებისათვის, ზღვის პირას რომ მშენებით ამართულიყვნენ.

— ჯერ ეს კლდეები მოასწორეთ! — ვეუბნებოდი და ვუთითებდი იმ სალ კლდეებზე, მარჯვნივ და მარცხნივ რომ ეშვებოდნენ ზღვაში. «

წარმოიდგინეთ, ინჯინერი, პოლკოვნიკი ვერდერევსკი ამბობს გასჭრითო, გენერალი ლიახოვი გასცრის კბილებში გასჩეხეთო, დიდი მთავარი, იმპერატორის ძმა, ნიკოლოზი ბრძანებს ადგავეთო, ეს კიდე, ქართველი მწერალი, ახლად ნაავადმყოფარი, ძლივს რომ გადაურჩა ერთხელ უაზრო ბრძანების არ შესრულებით სიკვდილს, ძლივს რომ გადაურჩა ზღვაში გერმანულ ტორპედოს[2], იჩემებს რომ ჯერ კლდეები, ის თვლაუწვდენელი კლდეები გაასწორეთ, ჯერ მთა და ბარი გაასწორეთ და მერე ვისაუბროთ ამ წმინდა ცაცხვის კორომზეო, განა გაგაჩეხინებთო, უბრალოდ ვისაუბროთო!

ცხადია რომ მანიით შეპყრობილი ინჯინერი, გენერალი და დიდი მთავარი კლდიაშვილს ამ „ღიადი“ ამოჩემებისას ლაზთა წმინდა ტყის, ცაცხვის ხეივნის დაცვას და იქ ჯარისკაცების ჩაყენებას არ შეარჩენდნენ.

ხო, აშკარად იკვეთება სახრჩობელა კი არადა ტრიბუნალი, რუსი სალდათების ხიშტიანი თოფების ზალპი და აღბათ ნიშნისმოგებით კბილებში გამოცრილი სიტყვები „დაიცავი ახლა ლაზების ტყეო!“

მაგრამ კიდე ერთხელ გაუმართლა მწერალს, ცაცხვთა კორომს ვერა მაგრამ ღებოში ჩაჩიხულ ვაგონში მარტოობას ვედარ გაუძლო ნიკოლოზმა, მაინც უწია ბაგრატიონთა ტახტის გაუქმების, გაცამტვერების, ბაგრატიონ დედოფალთა და უფლისწულთა


ამოძირკვის ცოდვამ და ჯერ გადადგა, შემდეგ კი მთელი ოჯახით ამოიბუგა კირში, ულიანოვის მიერ ამოთხრილ ვებერთელა ორმოში და ველარ მოასწრეს კიდევ ერთი ქართველი უფლის-წულის, დავით კლდიაშვილის დახვრეტა. მაგრამ არას წერს ამაზე მწერალი, მოკლედ და მშრალად ამბობს, ამის შემდგომ პირობებიდან წამოსული ქუთაისში ვიყავი რამოდენიმე დღეო, მეტს არაფერს!

ეს მემუარები საბჭოთა პერიოდში იწერებოდა და სავარაუდოდ მწერალი აშკარად არ ამხელს ბევრ რამეს, მითუმეტეს როცა ეს მეფის რუსეთის სამხედრო სამსახურში მის მოღვაწეობას ეხება, ვინძლო მის ნაწერებსაც ვერ ეხსნათ ის და ვერც იმას რომ უკვე მხცოვანი გახლდათ.

ეს ყველაფერი ძირითადად მისი ავრტობიოგრაფიული წიგნის მიხედვით მოწყევით, ახლა კი ის საარქივო დოკუმენტი გვინდა მოგაწოდოთ და რამდენიმე გაურკვეველ საკითხზე დაფიქრება გთხოვოთ:

როგორც ვნახეთ ორჯერ შერისხეს კლდიაშვილი: პირველად როცა თბილისში გამოაგზავნეს აქაოდა ორი ჯარისკაცი როგორ დამავდა ინჯინერთან ტყის ჭრისასო და მეორედ ცაცხვების ტყის გამო 1917 წელს გამოუშვეს ქუთაისისი;

რაც შეეხება დოკუმენტს, არქივში მიხაილოვსკის ციხესიმაგრის დოკუმენტებში ვეძებდი დავითზე მასალებს და საბედნიეროდ სხვა საკითხზე მომუშავე დიმიტრი სილაქაძე წააწყდა მანამდე და მახარა, აი შენ რომ ეძებ ისააო და მიმიტითა უშურველად, რისთვისაც მადლობა მას:



მოკლედ, ბრძანებაში მეორე ნომრად, აღნიშნულია რომ პოლკოვნიკ კლდიაშვილს მიეცეს საყვედური (Выговор) შენაერთის შემადგენლობის ცუდი მართვისა და მათზე სათანადო მეთვალყურეობის ვერ გაწევისთვის (За слабый надзоръ за чинами дружины и за недосмотръ по веденію хозяйства въ ней) . ბრძანება დათარიღებულია 1915 წლის 20 ოქტომბრით. ალბათ სწორედ ამას გულისხმობს მწერალი როდესაც მას ლიახოვმა უსაყვედურა სათანადო გავლენა არა აქვს თავის ჯარისკაცებშიო, როდესაც კლდიაშვილმა ხნიერი ჯარისკაცების თხოვნა გადასცა მას, ხოლო შემდეგ ორი ჯარისკაცის ინჟინერთან

ნის ჭრისას დაშავების გამო თბილისში გამოისტუმრა. ეს ჩაუთვალეს კლდიაშვილს სისუსტეში, და შენართის ვერ მართვაში:

„მუდამ ისმოდა წუწუნნი, რომ საჭიროა, უფრო ახალ-გაზრდები გამოგზავნონ და ხნიერები შეიცვალონ, რომ ხნიერებს არ შეუძლიათ ერთნაირად ახალგაზრდებთან გასწიონ სამსახური. ჯარების დასახედავად მოსულ გენერალს გადავეცი ხნიერი ჯარისკაცების თხოვნა, რომ მას მოესმინა მათი სათხოვარი. გენერალი ურიგო კაცი არ იყო, გამოელაპარაკა ჯარისკაცებს და შეპირდა, რომ მოახსენებდა მათ თხოვნას ბათუმში გენერალ ლიახოვს. გენერალმა კი მოახსენა ლიახოვს, მაგრამ მან მეტად იწყინა ასეთი განცხადება და საყვედური გამოეთქვა ჩემზე: სათანადო გავლენა ვერ მოუხდენია, რომ ასეთ განწყობილებას ადგილი არ ჰქონებოდა ჯარისკაცებშიო. თითქოს მე მძლეთა მძლე ვიყავ!“

როგორც ვთქვით სწორედ ამ დროს ამოუხოცეს მის შემცვლელს ლამის ნახევარი დრუჟინა და ღვთის ნებით გადარჩა კლდიაშვილი მაშინ. ლიახოვმა კი ის კვლავ უკან მიიხმო. მართლაც რომ „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...“

რაც შეეხება უშუალოდ პირონეტის ამბავს სამწუხაროდ საარქივო მასალები მის შესახებ ჯერჯეროვნით ვერ მოვიძიე, მაგრამ გვაქვს მწერლის ოქროსავით მონათხრობი, ღირსებიანი მწერლის უტყუარი მოგონებები, მათ შორის ლაზების წმინდა ცაცხვების კორომზე.

ნეტავ ახლა თუა ის წმინდა ტყე პირონეტში, და ისევ თუ შრიალეებენ ცაცხვები წმინდად?

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] თემურ ვერულავა; <https://burusi.wordpress.com/2010/01/30/david-kldiashvili-2/>

[2] იხილეთ სტატია „**როგორ გადაურჩა სიკვდილს კლდიაშვილი**“ <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1012057&gid=2&fbclid=IwAR0J27GALIGxtr3b0bbZqI7TdbdxHBDsZ8AT5LyEI2msoM6K99GyIZaxY8M#.X7d2>

სიკეთის მადლი

(ეთერ კალანდარიშვილი გოლიაძისა, იოსებ კახიძე, ილია ცივაძე)

არსებობს ადამიანი, არსებობს სიკეთე და ბოროტება. ბოროტება ისე მომრავლდა, რომ ხანდახან ფიქრობ, ქვეყნად მარტო შური, ორგულობა, სისასტიკე, გაუტანლობა ბატონობსო! არადა, ქვეყნიერებას განაგებს ჩუმი, ხშირად შეუმჩნეველი და ბევრისგან მივიწყებული სიკეთე. ყველა ადამიანშია სიკეთისა და ბოროტების მარცვალი, მთავარი ისაა, რომელს აძლევ გაღვივების უფლებას. ბედნიერებაა იყო ბრძენი, მაგრამ უფრო მეტი ბედნიერებაა იყო კეთილი. შესაძლოა ცხოვრების აზრიც სიკეთის ქმნაშია, ისეთი სიკეთისა, რომელსაც არ ითვლიან, ისეთი სიკეთისა, რომლისთვისაც სამაგიეროს არ ითხოვენ! იქნებ სიკეთეა ის ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც ალამაზებს ქვეყნიერებას! იქნებ სიკეთე ტკბილი მოვალეობაცაა, ცხოვრების წესად რომ უნდა უქციო საკუთარ თავს! იქნებ სიკეთე ის ენაცაა, რომლის მოსმენაც შეუძლიათ სმენადაქვეითებულ ადამიანებს, ის თვალის ჩინია, უსინათლოსაც რომ დაანახებს?

საკუთარი თავი ბოროტად არავის მიაჩნია. ბევრია ადამიანი, რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს თავი სიკეთისმკეთებლად, მაგრამ ჩვენდასაბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც სიკეთის ქმნა შინაგანი მოთხოვნილებაა. სიკეთის კეთებასაც სიბრძნე სჭირდება. კეთილი მარტო ის კი არ არის, ვინც სიკეთეს აკეთებს, არამედ ის – ვისაც ბოროტების ქმნა არ შეუძლია.

ამჯერად სამი ადამიანის შესახებ მინდა მოვუთხრო მკითხველს. ერთ-ერთი მათგანი უკეთილშობილესი და სათნო ქალბატონია. მკითხველს მინდა შევთავაზო მასთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ამბავი:

1987 წელი!

მეოთხე კურსის სტუდენტი უცნობი ქალბატონისაგან იღებს წერილს!

წერილი სასეა წარმატებული ადამიანებისადმი სიყვარულით, გულწრფელობით, უმეცრების უღრანი ტყიდან ახალგაზრდების გამოყვანის სურვილით, ოპტიმიზმით, კეთილშობილების გრძნობით და ეს ყველაფერი ნაღდია, არა მოჩვენებითი! წერილი მასწავლებელია არა მარტო კეთილშობილების სიყვარულის, არამედ ამ სიყვარულის პოვნისა!

ჰემა აი.ბ.ა.
 ამ წერილის ავტორი ქალი აქვს იყო წყევნილი.
 ექვსე, რომ წმინთად წმინდობა, ხედავს ღვთისმეტყველებს, ვ
 ქალის მკვლელობა წმინდა და ზნეობა მტკიცედ, უკმა წმინდა შიშის.
 მკვლელობა, ვერ შიშის მკვლელობა და ამ დროს რიგობა და
 წმინდა სიყვარული ავიწყლებს მკვლელობას. კერძოდვე ჰემა წმინდად ყოფი
 თქვენი ინტელიგენციის დამცემად წოდებული გვიჩვენებს ვა პატივს.
 მე ამაღლს საყვარელ გზაზე და იმყოფება წმინდა ეთერება ჰემა
 სიყვარულს. თუ ჰემა ვინაობს ის კარგად ესეც გვჩვენებს უფრო იყოს. და
 მხარე, რომ ის იქნება თუ ვინაობს წმინდა რეალობა. ვ ის მხარე,
 რომ აქვს მამაკაცი წოდებული მხარეობა სიყვარული იმეორებს ჰემა
 ეს იქნება საყვარელი ჰემა.
 აი.ბ.ა. ამ წერილს მომხმარებდა ის იქნება მთიანეთში, თუ
 სიყვარული გვჩვენებს ის მოიქცეობს, თითქმის ჩვეულებრივ ადამიანს ჰემა
 წმინდა და თუ იქნება, რომ წმინდა ყოფილი სიყვარული.
 • ემტკიცება, თუკი წმინდა და ავსოვდა ესეც გვჩვენებს
 სიყვარული და გვიჩვენებს აქვს იქნება, თუკი, ვინაობს პატივს.
 აქვს ჰემა მამაკაცი



ამ წერილის ავტორი ქალბატონი ეთერ გოლიაძეა, ჩემი მეგობრის ლია გოლიაძის
 დედა! ჩემი მეგობრის ბადრი თევზაძის სიდედრი!

უძვირფასესო ადამიანო! გთხოვთ დავგიანებით მიიღოთ
 მაღლიერება თქვენი მგრძნობიარე, ახალგაზრდებზე
 მზრუნველი კეთილი გულისათვის, ცოდნიერების სიყვარუ-
 ლისათვის, სიკეთისათვის! განუზომელია ჩემი მაღლიერება.
 თქვენი კეთილშობილების შემდეგ არ არსებობს საზომი იმ
 სიკეთისა და სიყვარულისა, რომელიც თქვენ მე მომანიჭეთ!
 სიკეთე, რომლის მაგალითსაც იძლევი, გახდა ჩემი
 ცხოვრების საფუძველი. ყოველთვის მახსოვდით, არასდროს
 დამვიწყებხართ, თუმცა მრავალი წლის შემდეგ
 გეხმიანებით. თქვენი ვინაობაც ხომ მრავალი წლის შემდეგ
 გავიგე ჩემი გამორჩეული მეგობრის თამარ ჩამბასაგან!

თქვენი კეთილშობილება ჩანს საპასუხო წერილშიც:

„თამაზ შვილო! მე ეხლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ყოველი დღე და საათი უფლის
 საჩუქარია და სიცოცხლის ამ ბოლო დღეებში უზომოდ გამახარე, არა იმიტომ რომ
 ზედმეტად გააზვიადე ჩემი სიკეთე რითაც შენ არ გისარგებლია ისეთი არაფერი
 დამიმსახურებია, რაც თქვენ მომანერეთ. სიკეთის კეთებასაც დიდი სიფრთხილე
 სჭირდება, ამას გვიან მივხვდი და გამახარა იმ ამბავმა, რომ ნაწყენი არ ხარ ჩემზე.
 განვიდდი ცუდად ხომ არ შევეხე თქვენს თავმოყვარეობას ხოლო გამაკვირვა იმ ამბავმა
 რომ ოთხი ათეული წლის მანძილზე ინახავდი ჩემს წერილს, რამაც დამარწმუნა თქვენს
 გულწრფელობაში. ვისურვებდი თქვენი მსგავსი ადამიანები ბევრი იყოს და მაშინ ადვილი

იქნებოდა ამ სამყაროში ცხოვრება. მაღლობა, მაღლობა სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოს უფალმა თქვენ და თქვენ ოჯახს“

მაღლობა ქალბატონო ეთერ, რომ თქვენი კეთილშობილური საქმით გვასწავლეთ - როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ვთესოთ სიკეთე, როგორ უნდა ვიოცნებოთ! ეს ცხოვრების გაკვეთილია, რომლის ჩატარება მხოლოდ თქვენნაირ კეთილშობილ ადამიანებს შეუძლიათ! არ ვიცი ჩემს ასაკში რამდენად გამართლებულია პირობის მოცემა, მაგრამ მაინც გპირდებით დარჩენილ დროში გავამართლო თქვენი ის მოლოდინი, რომელიც ჩემს მიმართ დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ რომ გაგიჩნდათ!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

იოსებ კახიძე. მეგობრობისა და მეგობრების მებაირახტრე იოსებ (იოსკა) კახიძის



იოსებ კახიძე მეუღლე ჟუჟუნასთან და შვილებთან: მარინე, ქეთევან და გიო კახიძეებთან ერთად

სახელი საყოველთაოდ იყო ცნობილი მის მშობლიურ ქობულეთსა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იგი იყო უღალატო მეგობარი, ღირსებითა და პატიოსნებით, პრინციპულობითა და შინაგანი თავისუფლებით გამორჩეული, სევდისა და ჭირ-ვარამის გამზიარებული, გაჭირვებულთა ქომაგი, ქვეყნისა და კუთხის პატრიოტი. ნაადრევად წავიდა იგი წუთისოფლიდან. სულ რაღაც ხუთი ათეული წელი იცოცხლა, მაგრამ ბევრი მოასწრო. იოსკა იყო დაღლილი გულით, მაგრამ სიკეთის კეთების სურვილით მოსიარულე იშვიათი კაცი. იგი იყო იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, სხვისი გასაჭირის გულთან ახლოს მიტანა რომ შეუძლო. სხვისი ტკივილი მას საკუთარ ტკივილად მიაჩნდა, სხვისი სიხარული - საკუთარ ბედნიერებად. უანგაროდ, უჩუმრად, სხვისაგან შემუმჩნევლად აკეთებდა სიკეთეს, გვერდში ედგა ყველას, მტერსაც და მოყვარესაც. ყველას არ გაუმართლა

ჰყოლოდა ისეთი გამგები, სანდო, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეგობარი, როგორიც შენ იყავი. სწორედ ამიტომ ჩემს თავს იღბლიანად მივიჩნევდი!

იგი იყო ერთ-ერთი პირველი ბიზნესმენი 1990-იანი წლების საქართველოში. მისი ხელშეწყობით არაერთმა ადამიანმა აიდგა ფეხი და გაიკვალა ცხოვრების გზა. იოსებ კახიძის პირადმა მაგალითმა და ცხოვრებისეულმა გზამ ჩემზე მოახდინა უდიდესი გავლენა.

ჩვენი ურთიერთობა 1990-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. მისი ქალიშვილი მარინა იმხანად აბიტურიენტი იყო. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მეგობრობას. ერთხელაც დამავალდებულა, შენი მეგობრები უნდა მასტუმროო. თარიღზე არ შევთანხმებულვართ და ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რვა კაცით (რომლებსაც თავად არ იცნობდა) დავადექი თავს. უზომოდ გაიხარა, შეირგო და შეგვარგო, ბოლოს კი ყველა სტუმარს ძვირადღირებული საჩუქრები ჩამოურიგა.

იოსებ კახიძე მეგობრობის ჭეშმარიტი განსახიერება იყო. ყველაზე იღბლიან ადამიანად ვთვლიდი საკუთარ თავს, რომ ბედმა მარგუნა მასთან მეგობრობა. მისი სახით იყო „კაცი, ვინც შეშვენოდა კაცთა კაცობას“. აბა როგორ უნდა დაივიწყო ჩემო იოსკა შენი

სიკეთე, როცა თხილნარის მეურნეობაში მესტუმრე და საცხოვრებელი სახლი საჩუქრად შემომთავაზე: „ორსართულიანი სახლი მაქვს ჩაქვში, ლურსმანი არაა მისაჭედებელი, შედი და იცხოვრო“. მნიშვნელობა არა აქვს, ვისარგებლე თუ არა ამ სიკეთით, მაგრამ შენ ეს გულით შემომთავაზე. აი, ამიტომ იყავი შენ იშვიათი და დიდი ადამიანი. სიკეთეს დათვლა არ უყვარსო, ამბობდი. მართალიც იყავი. სიკეთეს დათვლა არ უყვარს, მაგრამ დამახსოვრება კი უნდა. როცა ვილაგ გეხმარება, ეს უნდა დააფასო, დაიმახსოვრო და გადასცე მომავალ თაობას. ჩვენ ეს გვახსოვს, მაგრამ ვერასოდეს შევძლებთ შესაფერისი მაღლობა გადაგიხადოთ შენი სიკეთისათვის.

სამწუხაროდ მალე შეწყდა იოსებ კახიძის სიცოცხლე. იგი 2000 წელს, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მეუღლეს - ქუჩუნას თითქოს ცალი ფრთა მოსტეხესო, ისეთ მდგომარეობაში დარჩა. ძალიან ბევრ ადამიანს დაწყვიტა გული მისმა უდროო გარდაცვალებამ. იგი ხომ უამრავ ადამიანს უყვარდა! ერთმა გულშემატკივარმა ისიც კი თქვა: „ეს კაცი მარტო გული იყო ფეხებგამობმული“.

იოსებ კახიძისნაირი ადამიანები ასე ნაადრევად არ უნდა კვდებოდნენ. თუმცა ახსნაც აქვს ალბათ: იმიტომ კვდებიან ადრე იოსებისნაირი ადამიანები, რომ უფრო კარგად დავინახოთ - რა არის სიკეთე, სიყვარული, სიქველე, კეთილშობილება.



სტუმრად კახიძეების ოჯახში (2023 წ. 29 აგვისტო)

დაგვიანებული მაღლობა ილია ცივადეს!

ჩვენს მეხსიერებაში მყარადაა შემონახული წინაპართა მონათხრობი ერთი დიდბუნოვანი კაცის შესახებ, რომელიც ურთულეს პერიოდში ხელმძღვანელობდა ბობოყვათის კოლმეურნეობას და მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითს აძლევდა გარშემო მყოფთ. ეს კაცი იყო ილია ცივადე, ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1950-იან წლებში. წარმოუდგენლად სასიამოვნოა იმის გაცნობიერება, რომ ილია ცივადის სახით იყო ადამიანი, რომელიც უანგაროდ არიგებდა ისეთ ფასდაუდებელ საჩუქრებს, როგორიცაა სიკეთე, მგრძნობელობა, გულისხმიერება, თანადგომა. მან მიანიჭა ჩვენს ბაბუას, წელათიდან ბობოყვათში ჩასახლებულ ზექერია ფუტკარადის ოჯახს მომავლის იმედი, განუმტკიცა რწმენა, და ფართოდ გაუხსნა სიყვარულის კარები ახალ გარემოში დასამკვიდრებლად. ბარის ცხოვრებას შეუჩვეულ-გამოუცდელნი დაასახლა ბობოყვათში და ყველანაირად შეუწყო ხელი მათ ადაპტაციას ახალ პირობებში.

იმ დროის (1930-1950-იანი წლები) ბობოყვათი სხვა სოფლებთან ერთად მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა. საყოველთაო შიმისა და უნდობლობის ატმოსფერო გაუსაძლისს ხდიდა ცხოვრებას. ადამიანი სრულიად დაუცველი იყო. ბაბუაჩემის გადმოცემით, ილია ცივადე მშრომელ კაცს მოუვლინა იმედად და თანასოფლელებს საკუთარი აზრის დაცვის, შემწყნარებლობის, ერთმანეთისადმი ნდობის განმტკიცებისაკენ მოუწოდებდა. იგი იყო გამბედავი, სამართლიანი, გულისხმიერი ადამიანი. ცდილობდა გამკლავებოდა ძალმომ-

რეობას და უსამართლობას. ეს იმ დროისათვის მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო, რაც ნათლად გამოჩნდა ზეჟერია ფუტკარადის მიმართ მის დამოკიდებულებაშიც.

მაღალმთიანი აჭარის სოფელ წელათში მცხოვრები ზეჟერია სასწაულებრივად გადაურჩა 30-ნი წლების რეპრესიებს. რამდენჯერმე იყო მისი დაპატიმრების მცდელობა. ერთხელაც, სოფელში მარხილის კეთების პროცესში გამოეცხადნენ უცნობი პირები (უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები) და თურქეთთან კავშირი დასდეს ბრალად. მეორედ შუადამისას დაადგნენ თავს და ლამის ნახევრად შიშველი ჩაიყვანეს სოფლისგან ცოტა მოშორებით, მდ. ჩირუხისწყლის ნაპირზე, დიდხანს აწამებდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ „თანამშრომლობას“. ზეჟერია ახლაც ღირსების და მოწოდების სიმადლეზე დარჩა და შეთავაზებულ მატერიალურ კეთილდღეობაზე მტკიცე უარი განაცხადა. თანამოძმეების ღალატი, იმ დროისათვის მოდად ქცეული „ჩაშვება“ და ცილისწამება შეუთავსებელი აღმოჩნდა ღირსეული კაცის მორალურ პრინციპებთან.

ბობოყვათში საცხოვრებლად გადასულს გაუხსენეს ეს ურჩობა და 1951 წ. 29 ნოემბერის ბრძანებულებით გადაასახლეს შუა აზიაში. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ილია ცივადის მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი გამბედაობა. ბაბუაჩემის გადმოცემით, იგი ყოველთვის პოულობდა გამამხნევებელ სიტყვებს, ეძებდა გზებს დაუცველი ადამიანების დასაცავად.

გადასახლებულ ზეჟერიას ოჯახს ბობოყვათში დარჩა ერთი ძროხა. ილია ცივადეს გაეყიდა ეს ძროხა, თანხა შეენახა და რეპრესიიდან დაბრუნებულს უკლებლივ გადასცა იგი. უფრო მეტიც, შესთავაზა სამოსახლო მისთვის და მისი შვილებისათვის, მაგრამ ზეჟერიამ ისევ მშობლიურ სოფელში დაბრუნება არჩია.

ილია ცივადის ადამიანურობა, ზნეკეთილობა და ხელმძღვანელის კომპეტენცია მაგალითია 1950-იანი წლების შემდგომი თაობებისათვის. ჩვენ, ზეჟერია ფუტკარადის შთამომავლები გულწრფელ მადლობას ვუხდით ასეთი მგრძნობელობისათვის, ყურადღებისათვის, ზრუნვისათვის, იმ რთული გზისათვის, რომელიც გაიარეს და სხვებსაც გაუადვილეს ამ გზის გავლა. ვინ იცოდა, თუ არა ხელმძღვანელმა, რომ სოფლის თავკაცობა იყო დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მოითხოვდა უდიდეს ნებისყოფას, ძალასა და ენერგიას. ილია ცივადემ მშვენივრად შეასრულა ეს მისია. მას უხაროდა თანასოფლელების წარმატება და უმკლავდებოდა მათ წარუმატებლობას, მხარს უჭერდა მათ სასოწარკვეთილობის დღეებში და საკუთარი თავის რწმენას უმტკიცებდა მაშინაც კი, როცა სიტუაცია იყო გამოუვალი. ამიტომაცაა რთული მის შესახებ საუბარი, რადგან სიკეთის ლამაზად გამოსატყის უნარი ყველას არ გააჩნია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჭარბობს ემოციები.

ილია ცივადის შთამომავლობას შეუძლია იამაყოს ასეთი წინაპრით. ჩვენ, კი, ზეჟერია ფუტკარადის შთამომავლებს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმისათვის, რომ იგი გამოჩნდა ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში და ზრუნვითა და სიყვარულით ეპყრობოდა ახალდამკვიდრებულებს. მადლობა იმისათვის, რომ ჩვენს წინაპრებს აჩუქა ის, რაც გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე მატერიალური ფასეულობა. ასეთი ადამიანურობა შეკვეთით არ მოდის, არც ისწავლება. იგი ღვთის საჩუქარია მხოლოდ ასეთი ზნეკეთილი ადამიანებისათვის.

ილია ცივადის მაგალითი გვასწავლის, რომ არ დავკარგოთ დრო ცუდ ფიქრებზე და მხოლოდ პოზიტიური საქმის კეთებას მივუძღვნათ ჩვენი სიცოცხლე, თუმცა ილია ცივადის სიკეთის ფონზე ამის გაკეთება ერთობ ძნელია.

გახსენება

აჭარის საარქივო სამმართველომ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა არქივისტების შესანიშნავი წარმომადგენელი, ღირსებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მედლების კავალერი, უღალატო მეგობარი, გაჭირვებულთა ქომაგი და ტკივილთმოზიარე ელგუჯა ჩაგანავა.



ელგუჯა ჩაგანავა დაიბადა ბათუმში 1950 წლის 29 თებერვალს, ცნობილი არქივისტების - გრიშა ჩაგანავასა და ლენა ზაქარეიშვილის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1969 წლიდან სალიბაურის სკოლა-ინტერნატში, არქივში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის კოლმეურნეობაში აგრონომისა და თავმჯდომარის თანამდებობებზე. 1997 წლიდან იგი საარქივო დაწესებულების თანამშრომელია.



საარქივო დაწესებულებაში მუშაობის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაება დარგის განვითარებისათვის წარმოებულ საქმიანობაში. 1997 წლიდან სათავეში ჩაუდგა საარქივო დეპარტამენტის უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილებას, რომლის რეორგანიზაციის შემდეგ დაინიშნა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ტექნიკური დამუშავების სამსახურის ხელმძღვანელად. ამ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში ე. ჩაგანავამ დიდი როლი შეასრულა საარქივო საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწის, მომავალი არქივისტების აღზრდისა და დაკვალიანების საქმეში.




2006-2009 წლებში ელგუჯა ჩაგანავა მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების მთავარი სპეციალისტია. სწორედ ამ პერიოდში, მისი უშუალო ინიციატივით მოხდა ახალი საარქივო მასალების შემოტანა, გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი ფონდებით არქივის ფონდსაცავების გამდიდრება. ამავე საქმიანობას აგრძელებს იგი ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობისას.



2010 წლიდან 2017 წლამდე ე. ჩაგანავა საარქივო სამმართველოს ჯერ ადმინისტრაციას, შემდეგ კი აპარატს ჩაუდგა სათავეში. 2017 წლიდან სათავეში ედგა საარქივო სამმართველოს ანალიტიკურ-მეთოდოლოგიურ და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურს.

ე. ჩაგანავა აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. არქივისტებისათვის საყოველთაოდ იყო ცნობილი ელგუჯა ჩაგანავას სახელი. მას კარგად იცნობენ დედაქალაქშიც. მისი ნაშრომები ქვეყნდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში, იყო საარქივო სამმართველოს ჟურნალ „არხეიონის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, ათობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 2023 წელს, გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე, აპრილში მისი ავტორობით გამოიცა წიგნი „აჭარის არქივისტები“.

ე. ჩაგანავას ღვაწლი და დამსახურება საარქივო საქმის განვითარების საქმეში აღნიშნა სამთავრობო ჯილდოებითა და სიგელებით. 2002 წელს იგი დააჯილდოვეს ღირსების მედლით, 2023 წ. აპრილში კი, აჭარის საარქივო სამმართველოს 100 წლისთავის დღეებში ე. ჩაგანავა დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მედლით.



საუკეთესო ადამიანური თვისებებით იყო შემკული მაღალკვალიფიციური არქივისტი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საარქივო საქმიანობას მიუძღვნა. განუზომელია მისი წვლილი ახალგაზრდა არქივისტების პროფესიული დაოსტატების საქმეში. ალღოიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა არქივში მუშაობის დაწყებისთანავე ექცეოდა ე. ჩაგანავას ყურადღების ცენტრში.

ახალგაზრდა არქივისტებისადმი ე. ჩაგანავას გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულების ნათელი მაგალითები საყოველთაოდაა ცნობილი ბათუმელი არქივისტებისათვის.

წავიდა ჩვენგან ღირსეული არქივისტი, მეგობარი და კოლეგა. წავიდა და თან წაიყოლია საარქივო დარგის განვითარების მისეული გეგმები, წავიდა და დატოვა დიდი ტკივილი. ბათუმელ არქივისტებს მუდამ ემახსოვრებათ მისი სახელი.

რუბრიკა „საინიციატივო წერილები“

რუბრიკის ავტორები: ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე)

გთავაზობთ ქობულეთის ისტორიული ძეგლების სიას.

ვფიქრობთ ის საინტერესო იქნება როგორც მკვლევართა ვიწრო წრისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

ფონდი რ-261; აღწერა 1; საქმე 859. 1949 წელი.

с п и с о к						
Памятников культуры, находящихся на территории Кобулетского района Аджарской АССР, Грузинской ССР						
№ п.п.	Наименование местности	Название памятника	Дата	Написание фресок	Достоинств. лозинки	ПРИМЕЧАНИЕ
<u>С/о Мухавесты</u>						
1.	Алабуги (и его Запад от Ала)	«Элиас-Цехе» на вершине Чохатаурского хребта	16век			
2.	Алабуги	Развалины крепости	18 *			
3.	Очхумри	Церковь				
<u>С/о Дегрва</u>						
4.	Дарва (около хуцубани)	Церковь	15в			
<u>С/о Кавути</u>						
5.	А ч у (Аджик)	Базилика Георгиевская, Ограда из кирпича, надгробия лавида-влия, Аомтаури	Гурии	Никотос поз-дине с груз. и греч. надписями		Храм греч. камен. с камен. лави-цей
<u>С/о Чачати</u>						
6.	Варданаури	Церковь				
7.	Ткемаки (Ткемакари)	Арочный мост				
8.	Ч а х а т и (около Варданаури)	Мост Одноарочный	-			каменный
<u>С/о Хуцубани</u>						
9.	Г а р а (на реке Хинтриа)	Церковь «Тетровани»				
10.	Иелгурава (около Батозари)	Развалины				
11.	Самеба (Киево)	Церковь				
12.	Хуцубани	Церковь				
13.	Хуцубани	Развалины крепости				
14.	Хуцубани	Еврейские надгробия	-			
15.	<u>С/о Хала</u>					
15.	Горгадзби (Геоградеби)	Церковь				
16.	Горгадзби	Крепость				
<u>С/о Кобулет</u>						
17.	Кобулет	Мечеть				
<u>С/о Кобулет</u>						
18.	Кобулет	Церковь				
<u>С/о Зарбоосада</u>						
19.	Х и н з	Церковь Никольская	-	Мечетю	здания	
20.	Х и о	О г р а д а	-			Каменная
21.	Х и о	М о с т одноарочный	-			Каменный
22.	Цемловани (цмловани)	Мост Арочный	-			Каменный
<u>С/о Цихис-Дэри</u>						
23.	Цихис-Дэри (называется ците)	Городище				
24.	Цихис-Дэри	Крепость Петра	-			Каменная
25.	Цихис-Дэри	Церковь				
<u>С/о Чихва</u>						
26.	А ч х в а (Ачи-Аджи)	Крепость				
27.	Ч а х в а	М е ч е т ь				
28.	На реке Хинтриа из-за Кобулет и Хуцубани	Магальники				

ИНСПЕКТОР ПО ОХРАНЕ ПАМЯТНИКОВ:

ფ. მ. მ.




აქტივის საბარძო
სამმართველო

რუბრიკა „მეტყველი სახეები“

(რუბრიკას უძღვებიან: ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე)

სათნო მოხუცი. რუბრიკით „მეტყველი სახეები“ შემოგთავაზებთ ქობულეთის მკვიდრის სულეიმან შაქარიშვილის 1925 წელს გადაღებულ ფოტოსურათს.



(ფონდი რ-77; ანაწერი-1; საქმე- 44).

ის მაშინ 85 წლის გახლდათ (1840 წელს დაბადებული !), თითქოს მთელი რომანის ამოკითხვას შესაძლებელი მის სახეზე, არაფერი რომ არ ვთქვათ იმ ანკეტაზე, მინიმალისტური ნოველა რომ გამოდის ლამის. სურათზე ტიპიური ქართველი მშრომელი კაცის სახეა, თოვლის ბაბუას რომ ვეძახდით ბავშვობაში. ბუნებრივია სურათთან ერთად დოკუმენტსაც გთავაზობთ, რომელიც უაღრესად საინტერესო შტრიხებს წარმოაჩენს ერთი ქართველი კაცის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე, რომლის განზოგადებაც თავისუფლად შეიძლება იმ პერიოდის ადამიანების ერთი ნაწილის ყოფა-ცხოვრების ამსახველ ისტორიად:


საანკეტო მონაცემები:

მოწმობა N 2822	
სახელი და გვარი	სულეიმან შაქარიშვილი
მამის სახელი	თანთო
წლოვანება	85
სიმაღლე	საშუალო
თმა	თეთრი
წვერი	
ეროვნება	ქართველი
ქვეშევრდომობა	საქართველოს რესპუბლიკა
თვალები	შავი
განსაკუთრებული ნიშნები	არა აქვს
საით მიემგზავრება	არდაგანის მთაზე
მიაქვს სურსათი საწოლავე	აქარი, სიმინდი, ბრინჯი, მარილი, პურისფქვილი, ნავთი საპონი, ოჯახის ნივთი

მიყავს საქონელი	უშობლები,ზაქები, კამეჩები, ძროხები, ხარები, ცხვრები, თხა, ხბოები, ვირები
მცხოვრები სოფელ კვირიკის. მაზრისა ქობულეთი.	
ნებადართულია საზღვარგარეთ გასვლისა. არდაგანის მთაზე. ამა მოწმობას ძალა აქვს საზაფხულო სეზონის განმავლობაში 1925 წლისა	

უბრალო ადამიანური ამბების გარდა, რამდენი ისტორიული რამ შეიძლება ამოიკითხო ამ პატარა ანკეტაში, ჩვენი ბედრული ისტორიიდან: 1921 წლის რუსული ოკუპაციის „დამსახურებით“ როგორ აღმოჩნდა ქართული საძოვრები საქართველოს საზღვრების მიღმა, თითქოს ჩვენს თვალწინ ავლებენ მავთულხლართებს, ოღონდ არა მარტო ახლა,- უხსოვარი დროიდან მოყოლებული მოაქ ჟამამდე, როგორ უხდება ქართველ კაცს „ვიზა“ აიღოს რომ ყოფილ საძოვრებზე საქონელი გადადენოს... იმედია, საბჭოთა რეპრესიებმა შუაზაფხულშივე არ მოუსწრო ქრთველ მემთურს და უკანაც მშვიდობიანად გამობრუნდა.

ქრთული ანსამბლის ხელმძღვანელი, ქობულეთის მცხოვრები, 1896 წელს დაბადებული მუსტო ხასანის ძე დუზ-ოღლი. სურათი გადაღებულია 1931 წელს, პირადობის მოწმობისთვის.



მუსტო გახლდათ ქალაქ ქობულეთის მცხოვრები, ეროვნებით ქურთი. საინტერესოა, რომ მუსტო ხელმძღვანელობდა ქობულეთის ქურთების ეროვნულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 145).



ვისაც დამატებით გაინტერესებთ ინფორმაცია მუსტოსა და მის ანსამბლზე, შეგიძლიათ იხილოთ აჭარის ტელევიზიით მიმდინარე წლის 26 იანვარს გასული ქალბატონ ოლიკო ჟღენტის საავტორო გადაცემაში - კომპოზიტორი ალექსანდრე ფარცხალაძე, „ჩემი ცხოვრების სტიქია“.



ქობულეთის მცხოვრები, 1859 წელს დაბადებული ხუსეინ ჯაში. ფოტოსურათები პირადობის მოწმობისთვისაა გადაღებული 1931 წელს, 72 წლის ასაკში:

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საცხოვრებელი ადგილის დასახელება: „ქობულეთის რაიონი სოფელი **ნ ა ი ნ - გ ლ ი ს ე ვ ი**“. ვისაც გსმენიათ რაიმე ამ ტოპონიმის შესახებ, გთხოვთ შემოგვეხმიანოთ (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 309).

და-ძმის: ბატიე და უსუპ ხინიკაძეები. ეს ფოტოსურათები პირადობის მოწმობისთვისაა გადაღებული 1931 წელს. მოწმობა ესაჭიროებოდათ ბეშუმში წასასვლელად.

დას, ბატიეს ახლავს შვილიც- ომერ ციცბა (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 240).



ქობულეთელი საბრი ხასანის ასულ აბდუშელიძე და მისი სამი შვილი: ემარი, ბედრი და მურადი. საბრი 1931 წლის 17 ივლისს ითხოვს პირადობის მოწმობის გაცემას. დღეს განსაკუთრებით უცნაურად მოგვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, მას ეს მოწმობა სჭირდებოდა ბაკურიანში გასამგზავრებლად (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 194).



ქობულეთელი, 1914 წელს დაბადებული აბიღინ ყემბერის ძე ხარაზი. ფოტოსურათი გადაიღო პირადობის მოწმობისთვის 1931 წელს. პირადობის მოწმობა ესაჭიროებოდა სასწავლებელში წარსადგენად (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 286).



ქობულეთის მკვიდრი ფეოდორა კოსინკო. სურათი გადაღებულია პირადობის მოწმობისთვის. სპეციფიკური დოკუმენტისათვის მკაცრად განსაზღვრული სტანდარტების ფოტო უცნაურად მხატვრულ რაკურსშია გადაწყვეტილი. მოწმობის გაცემის დროს 1930 წელს ის გახლავთ 39 წლის (ფონდი რ-83, ან.2, ს.28).

რებეკა ესაიას ასული ზიგელბოი გახლდათ ქობულეთის მცხოვრები. მოწმობის გაცემის დროს იგი იყო 54 წლის. შესაბამისად რებეკა დაბადებულია 1876 წელს, ოდესაში. მოწმობის გაცემის დროს - 1930 წელს, რებეკას მუდმივ საცხოვრისად უწერია ქობულეთი (ფონდი რ-83, ან.2, ს.28, ფურც. 337; ფ.რ-83, ან.2, ს.37, ფურც. 70).




„გაცრეცილი ფოლიანტები“

(რუბრიკის ავტორები: ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე)

მკითხველს ვთავაზობთ აკაკი წერეთლის კახა ჯავახიშვილისეულ პროექტს. ალბათ ყველას გახსოვთ პოეტის ეს ძეგლი ბათუმში. აქვე წარმოგიდგენთ კახა ჯავახიშვილის ბათუმის არქიტექტორად დანიშვნის საინტერესო ბრძანებასაც (ფონდი ტ-1196, ან. 3, ს. 865)





სტალინის მონუმენტის პროექტი ბათუმში

პროექტის ავტორები: თოფურიძე (სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნებისა და სკულპტურის

დამსახურებული მოღვაწე)

არქიტექტორები: კახა ჯავახიშვილი


აბაშიძე

ძეგლისთვის შეირჩა ზღვისპირა პარკის ცენტრალური შესასვლელი (ლენინის ქუჩის მხრიდან). საძირკვლის სიღრმე - 1,5 მეტრი;

პოსტამენტის სიმაღლე - 11 მეტრი;

მონუმენტის სიმაღლე - 6,25 მეტრი

სულ: 17,25 მეტრი (ფონდი: ტ-515, ან. 1, საქმე 114)




ბათუმის წყალსაცავის დამცავი ტყის ზოლის საზღვრის გეგმა.

1943 წელი



ფონდი რ-182, ა6.3, ს. 10, ფურც. 15



ფონდი ი-5, ა6.1, ს. 56, ფურც. 30

წარმოგიდგენთ ქალაქ ბათუმის საზღვრების გაფართოების 1898 წლის გეგმას. პროექტის მიხედვით ქალაქი მოიაზრებოდა აღმოსავლეთით - მდინარე ბარცხანამდე, ხოლო დასავლეთით - მდინარე ანგისამდე, რომელიც შემდგომ გვირაბში მოექცა და ამჟამად დაახლოებით ჯავახიშვილ-ჭავჭავაძე-გრიბოდოვის ქუჩების ქვეშ მოედინება და უჩინარდება ზღვაში. როგორც ჩანს, ქალაქის ხმოსნებს 1898 წლის 28 სექტემბერს შეტანილი ეს პროექტი არ მოეწონათ და აღარ დაამტკიცეს. ქალაქის სათათბირო მას კვლავ მიუბრუნდა 1899 წლის 15 ოქტომბერს, როდესაც ქალაქის გამგეობამ თავიდან წარადგინა ქალაქის გაფართოების პროექტი. ქალაქის საბჭოს, რომელსაც როგორც ჩანს სწორედ გეგმაში გათვალისწინებული ბათუმის მაშტაბები აღარ აკმაყოფილებდა, შეუქმნია კომისია რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა ქალაქის საზღვრები: დასავლეთით, საზღვარი ნაცვლად მდინარე ანგისისა (გრიბოდოვის ქუჩა), გაიზარდა მდინარე მეჯინისწყლამდე (ჟილინის საშრობი არხის გასწვრივ), სამხრეთ-დასავლეთით, მეჯინისწყლის ქვის ხიდიდან დაწყებული მდინარე ურეხის გაყოლებამდე, ხოლო აღმოსავლეთით ნაცვლად მდინარე ბარცხანისა, მდინარე ყოროლისწყლამდე. რუკაზე კარგად ჩანს როგორც 1898 წელს განზრახული ასევე, საბოლოოდ, ქალაქის საბჭოს მიერ 1899 წლის 15 ოქტომბერს დამტკიცებული საზღვრები.



ფონდი ი-6, ან.1, ს.175, ფურც.3,4

დღეისათვის, ბათუმი გაცილებით უფრო ვრცელ საზღვრებშია მოქცეული, მაგრამ მაშინ, აქარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ათი წლის შემდგომ, ქალაქის ზრდა და განვითარება ამკარად თვალმისაცემი იყო.

აქარის საარქივო სამმართველოში, სამკითხველო დარბაზში მაგიდაზე გადამლილი ივერიის 1886 წლის 94- ე ნომერში საინტერესო ცნობას წავაწყდი, დიდი ალბათობით სულმნათი ილიას მიერ დამუშავებულს. ცნობა ბათუმში 1886 წლის 20 აპრილს გამართულ ზეიმს შეეხება და სხვა რამეებთან ერთად საინტერესო ამბავს გვჩვენებს.

ხასიათი ჰქონდა. კვირა-ცხოვრობას ისეთი ბურთის თამაშობა იყო, რომელსაც მთელი ბათუმის მცხოვრებნი სიამოვნებით უყურებდნენ. ბურთის თამაშობა გათავდა ღამის ათ საათზე. ლელო იმერლებს და გურულებს და/ნათ, მოპირდაპირეთ ამათ ჰყვანდათ მეგრელები და აუზნებები.

ერთი წამითაც არ გვეჭვება რომ ეს საზარელი იმპერია ძალიან მალე შესწყვეტს ქართული მიწების ოკუპაციას და ქართველები და აფხაზები კვლავაც გვერდი-გვერდ ვიქნებით და მხოლოდ სპორტულ თამაშებშია და ვუპირისპირდებით ერთმანეთს და გავუტანთ კიდევაც ლელოს.


„ხელრთვები არქივიდან“

(ბათუმის სათათბიროს სხდომის ოქმებიდან)

(რუბრიკის ავტორები: ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე)


ვიწყებთ ახალ რუბრიკას „ხელრთვები არქივიდან“. ამ რუბრიკით შემოგთავაზებთ ჩვენს ქალაქში მოღვაწე ცნობილი ადამიანების ხელმოწერებს:

ივანე მესხი: (1888 წელს ივანე მესხი სამუშაოდ ბათუმში გადაიყვანეს, სადაც ოცდახუთ წელზე მეტი დაჰყო. იგი იყო ბათუმის თვითმმართველობის მდივანი, იღწვოდა სასკოლო ქსელის გაფართოებისათვის, აქტიურად მონაწილეობდა ბათუმში კლასიკური გიმნაზიისა და ქალთა გიმნაზიის გახსნისათვის) (ფონდი ი-6, ან.1, საქმ.559, ფურც. 215)





ბათუმის ისტორიული კინოთეატრის „აპოლოს“ ამშენებლისა და მფლობელის **ნიკოლოზ დავითი ძე ბროვალ-სხირტლაძის ხელრთვა** 1910 წლის 7 აპრილის დოკუმენტიდან:





აქილევს დიმიტრის ძე დიმიტრიადის ხელრთვა. აქილევსი იყო ბათუმის საკრებულოს ხმოსანი,

სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორისა და ღირიქორის ოდისეი დიმიტრიადის მამა (ფონდი ი-7, ან.1, ს. 365, ფურც.3).



პროკოფი ლევანის ძე შერვაშიძის ხელმოწერა: პროკოფი იყო გენერალ-მაიორი, ღუმის წევრი და ბათუმის საქალაქო საკრებულოს ხმოსანი. ცნობილი მერი შერვაშიძე სწორედ მისი ქალიშვილი გახლდათ (ფ.ი-7, ან.1, ს.245, ფურც.2):



ბათუმის ბრიტანელი სამხედრო გუბერნატორის გენერალ ჯეიმს ნორმან კუკ-კოლისის ხელრთვა (1919 წლის 1 ნოემბრის დოკუმენტი). (ინგლისელი სამხედრო მოღვაწე,